


წელიწადი
პირველი



16 ივნისი
1877 წ.

საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ფასი 1 ლარი

ბამოდის ხუთზაბათობით

ხელის მოწმარა: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოყვის სასაზღვრის წყმოდ. №18 ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

<p>„ივერიის“ ფასი 1877 წელს. ათი თვისა, გაეზავნით და გაუგზავნელად . . . 6 მან. — თითო ნომერი — 15 კაპ.</p>	<p>თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასახეულთ გამოგზავნილ წერილებს. განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზე.</p>
--	--

საძიებელი: I. ქალების არჩევანის უფლება და ინგლისის ჰარლამენტი. — **III.** ომის ამბები.—**II.** საზოლიტიკო მიმოხილვა.—**IV.** კავთობა სოფელს კურდღელაურში („ივერიის“ კორრესპონდენცია)—**V.** ეტნოგრაფიული განხილვა, (შემდეგი) დ. ჩუბინოვისა.—**VI.** ფიცის გვწამს და ბოლო გვაკვირვებს.—**VII.** სასაუბრო და საფიქრებელი, ზ. ნ....ძე.

ქალების არჩევანის უფლება და ინგლისის ჰარლამენტი.

ათმა წელიწადმა გაიარა მას აქეთ, რაც ქალებმა ჰირველად არჩევანის უფლება ითხოვეს ინგლისის ჰარლამენტში. მაშინ ეს თხოვნა დეონ-სტუარტ-მილდმა შეიტანა ლონდონის პარლამენტში. არსაყად 1500 კაცს ეწერა ხელი. მას აქეთ ეს საქმე არამცთუ არ შემწვდარა, არამედ საკვირვლად გაძლიერდა, სიმტკიცე და სიბეჯითე მოემატა, უფრო გავრცელდა და თითქმის მთელს საზოგადოებას მოედო. ეს გარემოება მით უფრო საკვირველი, რომ ამ ათის წლის განმავლობაში ქალებს ეოველ წლივ შემქონდათ ჰარლამენტში ერთი და იგივე თხოვნა და ჰარლამენტი ეოველწლივ ერთსა და იმავე უარს ეუბნებოდა. აბა ვის არ გაუგრილდებოდა გული და ვინ არ დაჰკარგავდა სასოებას? მაგრამ ლონდონის ქალებმა ქალებმა კარგად იციან, რომ ინგლისში ეოველგვარი ცვლილება შეუძლებელია და თუ ამ ცვლილებამ საზოგადოების აზრი არ მიიწიდა და არ დაიოლია. საზოგადოების აზრის გამოცვლა და დაიოლება, თუ თქვენც იტყვით მკითხველო, ადვილი საქმე არ არის და ჩქარა არ მოხერხდება. საზოგადოება არამცთუ მარტო იმისთანა მძიმე საქმეში, როგორც ქალთათვის საზოლიტიკო

უფლების მინიჭებაა, არამედ მცირე საქმეშიაც მხელად ჰსთმობს ჩვეულებრივს, გათელილს გზას და დიდის ჭოჭმანებით გამოდის ახალსედ. ბევრს ტანჯვას და ვაივაგლასს გამოიოლის ახალი აზრის მქადაგებელი, ბევრს რისხვას და შეჩვენებას განიცდის ვიდრე დაიოლიებს საზოგადოებას და ჩააგონებს თავის საკუთარ რწმენას. ახლის აზრისა და რწმენის მიმდევარს დიდი სიმტკიცე სასიათისა და დიდი სასოება გამარჯვებისა უნდა ჰქონდეს, რომ გული არ გაუგრილდეს და ხელიდგან არ გაუშვას მის მიერ დაწვეული საქმე. ამ გვარი სიმტკიცე და სასოება ინგლისის ქალებმა გამოიჩინეს ამ ათის წლის განმავლობაში. ივინი წერა-ბეჭდვით და ლაზარაკით განუწვევტლად ქადაგობდნენ და, თუმცა ჰარლამენტი უარს ჰყოფდა მათ თხოვნას, მაგრამ ამ ქადაგებას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ეხლა მათ თხოვნას, რომელიც ბრაიტის ხელით წარუდგინეს ჰარლამენტს, 430,000 ჰირს უწერია ხელი მაშინ, როდესაც ათის წლის წინად 1,500 კაცს ეწერა ხელი. აი რაში მდგომარეობს ქალების გულის ტკივილი ამ შემთხვევაში: 5 თიბათვეს (24 მაისს) ქალების დეპუტაცია მივიდა მინისტრ ნორტოტთან და თხოვნა წარუდგინა. ეშოვრტის ქალმა უთხრა, რომ ბევრგან უმთავრესი ნაწილი მამულ-დედულისა ქალების საკუთრებაა და ადვილობრივთა მოხელეთა ამორჩევისათვის კენჭი აქვსთ მინიჭებულიო, დეპუტატების ამორჩევისათვის კი არა აქეთო უფლება. ეს უსამართლობაა და ამიტომ გთხოვთ ჰარლამენტში ჩვენ მოგვემხროთო, როდესაც ჩვენი თხოვნა განიჩევაო. ნორტოტმა უპასუხა: „საქმე რომ მარტო დედა-აზრსედ იეოს მიგდებული, მაშინ, რასაკვირველია, ქალებსაც უნდა ჰქონდეთ იგივე უფლება, როგორც კაცებსა

აქვთ. ხოლო უნდა გამოვიკვლიოთ თუ რა შედეგი ექმნება ამ ცვლილებას, რომელსაც თხოულობთ და მერე კაი დრო შეგირჩევიათ თუარა მავ თხოვნის წარმოსადგენად და ვასარჩევად. ზირველ შახედვით მართლა უსამართლობაა, რომ ქალებს არჩევანში არა აქვსთ მონაწილეობა, როდესაც ივინი იმავე ხარჯს იხდიან სახელმწიფოს წინაშე, როგორცაც კაცები. იმ არსაში, რომელიც ეხლა ზარლამენტშია შეტანილი, მოხსენებულისა, რომ ქალებს არჩევანის უფლება ეველა იმ შემთხვევაში უნდა მიეცეთ, რა შემთხვევაშიაც კაცებს ეძლევათ, გარდა ქმრიანის ქალებისა.

ეს უკანასკნელი ზირობა შესანიშნავია და კარგი დაკვირვება და შესწავლა უნდა, რომ კაცმა მოიანროს მისი ეოველგვარი შედეგი. უნდა მოგახსენოთ, რომ უდროოდროს დაიწვეთ ეს საქმე. მე იმ ზირობა ახრისა არ ვახლავარ, რომელიც ამბობენ, რომ ქალებს კენჭის ხმარება ხეირიანად არ შეუძლიანთო. მაგრამ, როგორც წინად მოგახსენეთ, ზარლამენტი, ვიდრე თქვენ თხოვნას ავისრულებთ, კარგა უნდა დააკვირდეს და შეისწავლოს ეოველივე ის, რაც თქვენ მიერ თხოვნილს ცვლილებას შეუდგება.“

ქალებს რომ ეგ სურვილი აუსრულდეს, რა შედეგი ექმნება? ქალთათვის არჩევანის უფლების მინიჭება მავნებელია თუ საკეთილო? ამ კითხვის ვრცელი ზასუსი მოკლე მიმოხილვაში, რასაკვირველია, შეუძლებელია და ცალკე წერილის ღირსია. აქ მხოლოდ მოგახსენებთ თუ რა ითქვა ამ კითხვის შესახებ ღონდონის ზარლამენტში.

ნ თიბათვეს, როდესაც ამ საგანზედ ბასი გაიმართა, ზარლამენტში ახალი არა თქმულა რა. რაც ათის წლის განმავლობაში თქმულა ქალების უფლების წინააღმდეგ ეველა ის განიმეორეს ეხლაც. ხელმეორედ დაიწვეს ლაზარაკი, რომ ქალებს რა არჩევანის უფლება მიეცეთო, ოჯახობა დაიბრუნეო. ქალებს სინახე დაეკარგებათო, კაცებისაგან რაინდულს ზატივისცემას დაჰკარგავენო, საზოგადოებრივი ხნეობა დაეცემაო და სხვ. ეს რაინდული ზატივის ცემა, ერთის დეჰუტატის სიტყვით, იმაში მდგომარეობს, რომ კაცები უკეთეს ადგილს ქალებს უთმობენ ეველგან, სცა კი ერთმანეთს შეხვდებიანო, დღესასწაული იქნება თუ დიდი რამ თამაშიო. ეს ზატივის ცემა უზირატესობააო ქალებისათვის და თუ ამ უზირატესობის დაკარგვა არა ჰსურთო, არჩევანის უფლებისგან ხელი უნდა აიღონო.

გარდა ამისა კიდევ სხვა ბევრი უცნაური საბუთი მოიყვანეს ქალების თხოვნის წინააღმდეგ. მაგალითებრ, დეჰუტატმა ჰენბერიმ ჰსთქვა, რომ თუ უქმრო ქალებს მიეცით კენჭიო, მაშინ არა ქალი არ გათხოვდებაო, არჩევანის უფლება გაუთხოვრობის ჯილდო იქმნებაო. ამავე დეჰუტატმა ჰსთქვა, სხვათა შორის, შემდეგი:

„თუმცა ქალები ჰკუა-გონებით კაცებს არ დაუვარდებიან, მაგრამ მათის მოქმედების ასაზრეო სულ სხვა არის. ამის გარდა, სად უნდა შეისწავლონ ქალებმა ის საზოლიტიკო საგნები, რომელთ თაობაზედაც კენჭი ჩამოიტარება ხოლმე. ორში ერთი: ან ხალხში უნდა გამოვიდნენ და საზოლიტიკო ერილობებში მონაწილეობა მიიღონ, ან არა და ახალი საზოლიტიკო მოძღვრები გამოჩნდებიან, რომელიც ფენს შეჰსდგენ ოჯახობაში რომ ჩვენ ქალებს ზოლიტიკა ასწავლონ. ისიც უნდა აღვიაროთ, რომ საზოგადო საქმეებში მომეტებული მნიშვნელობა თან და თან ძალას ეძლევა. ამ შემთხვევაში რა შემწეობას უნდა მოელოდეთ ქალთაგან. გულის-სისუსტის ზოლიტიკას ისიც დიდი გავლენა აქვს ამ ქამად და წინადადების მოღების შემდეგ ხომ უფრო გაძლიერდება.“ აქ უფ. ჰენბერი იმ მოძრობაზედ ამბობს, უსათუოდ, რომელიც ომის წინააღმდეგ არის მიმართული. ეს გულ-შემატევიანი ზოლიტიკა უფ. ჰანბერს ქალურ საქმედ უცნია.

მეორე დეჰუტატმა კი ჰსთქვა, რომ თუ ქალებს არჩევანის უფლება მიეცითო, დიდად მავნებელი იქმნებაო, და აი რათ. თუ ქალები ზირდაზირს მონაწილეობას მიიღებენ არჩევანში (უსათუოდ ასეც იქნება), მაშინ ოჯახობის ლახათი დაიკარგებაო; და თუ შინიდგან გარედ არ გამოვლენო, მაშინ უცოდინარნი დარჩებიანო. ამ შემთხვევით სამღვდელოება ისარგებლებსო და ქალების შემწეობით არჩევანზედ გავლენას იქონიებსო.

ეველა ამ ზირობა უზასუსა დეჰუტატმა ფორსაიტმა, რომელმაც სთქვა შემდეგი:

„რაც უნდა თქვან, მაინც არც ერთი საქმე იმდენად წინ არ წამდვარა როგორც ქალების არჩევანის უფლების საქმეა წამდვარი. თუმცა ხსენებული წინადადება ქალებს არ დაისხნის ეოვლის მწუსარებისაგან, მაგრამ იმას ხომ მიანიჭებს, რასაც თხოულობენ, ტუელი თქმა არის ვითომ ეს წინადადება ქმრიანის ქალების განთავისუფლებასაც მოასწავებსო *). რც შეეხება მას ვითომ ახალნი მოძღვრები ზოლიტიკისა განდებიანო, ეს ახრიც უსაფუძვლოა: ვითომ რა

*) აჩქეანის უფლება, როტორკ მოტესხენებათ, ქონებაზედ არის დამყარებული. ეისაც საკუთრება არა აქვს არც ეს უფლება აქვს მინიჭებული. ინგლისში ქმრიან ქალს არაერთი საკუთრება არა აქვს. ეოველი მისი ქონება ქმარს ეკუთვნის. ტასათოვარ ქალს კი აქვს უფლება აქონოს ეოველგვარი საკუთრება. მაინც ინგლისში ტასათოვარი ქალი უფრო თავისუფალია ვიდრე ქმრიანი. ბრაიტის წინადადებაში მარტო უქმრო ქალები არიან ნოსხენებულნი, რადგანაც იმათ აქვთ საკუთრება, მასხადამე არჩევანის უფლება უნდა ჰქონდეთ როტორკ კაცებს. მაგრამ ბევრს ემინიან ეს კანონი რო დავითთ, ეათუ შედეგ ქმრიანმა ქალებმა იგივე მოინდომნო. აი ამხელ ამბობს ფორსაიტო.

დაუშლით ქალებს იკითხონ ჟურნალ-გაზეთები, წიგნები და სხვ., ე. ი. იმავე გზით ისწავლონ ზოლიტიკა, რა გზითაც კაცები სწავლობენ. ეჭვი არ არის რომ ქალები ისე გონივრულად მოიხმარებენ არჩევანის უფლებას, როგორც ამომრჩეველნი-კაცები.“ გარდა ამისა ფორსაიტმა სთქვა, რომ ქალები არჩევანის უფლებას იმიტომ კი არა თხოულობენო, რომ ქალები არიანო, არამედ იმიტომ, რომ საკუთრება აქვსთ და სახელმწიფოს წინაშე ხარჯს იხდიანო. ინგლისში ვეფლა მამულის ზატრონთა შორის ქალები მეშვიდე ნაწილს შეადგენენო. ვეფლა ხარჯს იხდიანო და დეპუტატის ამორჩევის უფლება კი არა აქვთო. ამის გამართლება არავის არ შეუძლიანო. მე დარწმუნებული ვარო, როდესაც ამ წინადადების წინააღმდეგთა სათაკილოდ გაუხდათ მათ, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ ქალებს განათლება არ უნდა მიეცეთო.

ბოლოს წამოდგა ბრაიტი და სთქვა: „ადრე თუ გვიან ზარლამენტი იმულებული იქნება კენჭი უყაროს ჩემს წინადადებას, რადგანაც ამ წინადადებას მომხრე ემატება თან და თან. გარდა ამისა უნდა მოგახსენოთ, რომ ზარლამენტი ხეირიანად ვერცკი დანდებს ქალების შესახებ კანონს, თუ მათ ზირდაზირი წარმომადგენელი არ ეყოლებათ ზარლამენტში.“

ო მ ი ს ა მ ბ ე ბ ი .

წარსულს კვირას ბევრი შესანიშნავი ამბავი მოვიდა საომარის ადგილიდან ზირველი ესა რომ 5 თიბათვიდამ რუსებს ეუბნარების სროლა დაუწვიათ ეარსისათვის.

4 თიბათვეს ღენერალ ტერგუკასოვის გუნდსა, (რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, გაიანჭეთიდამ არწრუმის გზაზედ მიმოვალობს) ფერიქ მაჰმედ-ფაშის მხედრობა დაუმარცხებია ზეიდეკანისა და დაღაბაბის შუა. ძალიან გაუმარჯვნია რუსის ჯარსა, გაუდგენია ოსმალნი და თვით მაჰმედ ფაშაც მოუკლავთ. ჩვენ მხარეს ერთი აფიცერია მკუდარი და ოცდაექვსი ჯარის კაცი; დაჭრილთა რიცხვი ასოცია, მათ შორის ერთი მაიორი სკიოტინიცი და 119 ჯარის კაცი, გარდა ამისა გაუკარავს მაიორი ნუდქევსკი ღენერალ ტერგუკასოვი ჰმოწმობს, რომ ალტილერიას დიდი ხელოვნება და მამაცობა გამოუჩენია.

ღუნაიის მხედრობის შესახებ აი რა ამბავი მოვიდა წარსულ კვირას: 9 თიბათვეს ღამით ათი როტს ღუნაიის იქითა ნაზირას გადასულა ქ. გალანის ზირდაზირ და დაუჭრიათ მალლობი, საიდანაც ოსმალები გაუდგენათ. დილის შვიდ საათზედ ოსმალებს ხელმეორედ დაუწვიათ ომი, მაგრამ ვერა

გაუწვიათ რა და თვითონვე უკან დაწვილან. ამ ომში ოსმალების ქვეითა ჯარის რიცხვი სამი ათასი ეოფილა და ცხენოსანისა სამასი. ჩვენ მხარეს შვიდი აფიცერია მკუდარი და ორმოცდა ერთი ჯარის კაცი, დაჭრილთა შორის ორი აფიცერია და ოთხმოცდა რვა ჯარის კაცი.

მეორდ დღეს ე. ი. 11 თიბათვეს ერთი ბრიგადი (ორი ზოლკი) ღენერალის ჟუკოვის წინამძღოლობით ღუნაიის იქითა ნაზირას გადასულა გალანის ზირდაზირ. ამ საქმეში ჩვენს მხარეს ორი აფიცერია მკუდარი და ორმოცდა ჯარის-კაცი; დაჭრილი: ორი აფიცერია და ოთხმოცდა თოთხმეტი ჯარის-კაცი.

— 10 თიბათვეს ხელმწიფე იმპერატორი გალანში მიბმანებულა და დაჭრილები უნახავს სამკურნალოში. ხელმწიფე იმპერატორს საკუთარის ხელით წმინდა გიორგის ჯვარი უბოძებია ზორუჩიკი ელსნერისათვის, რადგანაც ზირველი გადასულა ღუნაიაზედ და ამასთანავე დაჭრილა კიდევ.

— ორს რუსის ხომალდს გაუმარჯვნია შავ ზღვაში: კ ო ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ს და ვ ლ ა დ ი მ ი რ ს (ხომალდების სახელია). ზირველს დაუღუპავს ოთხი ოსმალოს სავაჭრო გემი და მეორეს ოსმალების ზატარა სავაჭრო გემი მოუტაცნია და თექვსმეტი ხომალდის კაცი ტევთ წამოუგვანია.

— 9 თიბათვეს ღენერალი ტერგუკასოვის ატრიადს დაეცა ოსმალების ჯარი, რომელთა შორის ეოფილა ოცი ბატალიონი ქვეითა ჯარი, თორმეტი წარბახანი და 4,500 ცხენოსანი ჯარის კაცი. მთელს ათს საათს იომეს შეუწვევტლივ. ბოლოს რუსებმა დაამარცხეს ოსმალები. ჩვენს მხარეს მოკლეს სამი აფიცერი (კაპიტანი ვასენკოვი, ზოდზორუჩიკი ზოლიაკოვი, ზრანზორში თ. ბეუთოვი) და 51 ჯარის-კაცი; დაჭრილთა შორის არიან: ეირიძის ზოლკის უმფროსი (კამანდირი) სლუსარენკო. შტაბ-კაპიტანი იურგენსი, ზრანზორშიკი კოლზაკოვი, მაიორი კარზინსკი, ზარუჩიკი შლეინევი, ზოდზორუჩიკები ესიზოვი, სტანცევიჩი და ბარშევსკი, ზრანზორშიკი ალამზინი და 363 ჯარის-კაცი.

— ღენერალ ოკლობჟიოს ატრიადი ციხის ძირთან ოსმალებს დანცემიან და დიდი ბრძოლა გამართულა. ჩვენს მხარეს 11 აფიცერია მკუდარი; დაჭრილთა და მოკლულთა ჯარისკაცთა რიცხვი ოთხასია.

ს ა ზ ო ლ ი ტ ი კ ო მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა

წვირილი ამბავი. — ეშველა მაკ-მაგონს: სენატის უმრავლესობა (150 თეთრი და 130 შავი კენჭი) დათანხმდა და დეპუტატთა ზალატის დაშლის ნება-რთვა გამოაცხადა. სამის თვის განმავლობაში

ახალი ზალატი უნდა ამოწიგულ იქმნას.

ვიდრე ლეგიტიმისტებისა და სხვა მონარქიელთა შორის უთანხმოება სუფევდა ეველასთვის ცხადი იყო, რომ სენატი არ დაშლის ზალატას, რადგანაც ულეგიტიმისტებოთ სენატში უმრავლესობა ვერ შესდგებოდა. მაგრამ მაკ-მაკონმა გამოაცხადა, რომ იგი სიკვდილამდის ჰრეზიდენტობას არ ეძებს და მომავალ არჩევანში ლეგიტიმისტებს იგივე მონაწილეობა ექმნებათ, როგორც სხვა მონარქიელთა დასის კაცებს. რა კი ეს შეიტყეს ლეგიტიმისტებმა, რასაკვირველია, არავითარი დაბრკოლება აღარ მისცეს მთავრობას ზალატის დაშლის შესახებ, რადგანაც მათი გულის ტკივილიც ის იყო, რომ რითიმე ესარგებლათ მომავალში.

რა უნდათ მონარქიელებს? მხელი გასაგებია სწორე მოვასხენათ. თუძცა მათ ერთი მტერი ჰყავთ—რესპუბლიკა, მაგრამ მტრის განდევნის შემდეგ ხომ რისამე დადგენას საჭირო. რას დაადგენ, — თვითონაც არ იციან რადგანაც მათ შორის მუდამი უთანხმოება და განხეთქილება ჰსუფევს.

მაგრამ ჯერ-ჯერობით, როგორც უწინ იყო მოხსენებული, ბურთი და მოედანი ბონაპარტიელებისაა, და ესენი არასა ზოგვენ, რომ თავისი გაიტანონ და ნაზოლეონ IV აბმანონ ტახტზედ. იგინი ეოველ ღონისძიებას ხმარობენ რომ როგორმე შეიტყუონ ხალხი. აი მაგალითებრ, რა არის სხვათა შორის, მოხსენებული იმ ჰრაკლამაციაში (განცხადებაში), რომელსაც ბონაპარტიელნი ხალხში ავრცელებენ: „იმჰერია თავს იჩენს და ხელმოკრედ ჩვენდა კანონიერ მმართველობად შეიქმნება მისი ახალგაზრდა მემკვიდრე (ე. ი. ნაზოლეონ IV) ბრძოლას აპირებს თვის გაუქმებულთ უფლებათათვის. მესამე იმჰერია სამხედრო სამსახურის ვადას სამ წლამდე შეამოკლებს, უკუაგდებს არა—პირდაპირს ხარკს (косвенные налоги), სამუშაო ფასს ასწევს, წმინდა ტრანჰესს (ი. ი. ზანს) მის თავისუფლებას დაუბრუნებს და სამშობლოს—დაკარგულს ქვეყნებსა (ე. ი. ელზას-ლოტარინგიას). იმჰერია ეველასზედ უწინარესს მოტყუებულთ შეილებს საფრანგეთისას ანატიებს და განდევნის რესპუბლიკელებს და ეოველ გვარ აღმამფოთველების (агитаторовь). მეგობარნო! განთავისუფლების დღე ახლოა. მაკ-მაკონი, მხედრობა და მოხელენი ჩვენკენ არიან; მამ მპურად მივცეთ ამათ მხარი! დაუბრუნოთ საფრანგეთს მშვიდობიანობა, სახელი, წესიერება და თავისუფლება. გაუმარჯოს იმჰერატორს! გაუმარჯოს მაკ-მაკონს!“

ახლა იფიქრეთ ვინ არის ნამდვილი ხალხის აღმამფოთველი—ამის დამწერნი ბონაპარტიელნი, თუ რესპუბლიკელები, რომელნიც ეოველ ღონისძიებას

ხმარობენ, რომ როგორმე შეიმავრონ ხალხი სამართლიანი სამავიერო არ გადუნადონ ამისთანა განცხადების დამწერსა?

რას იქმონენ მთავრობა და მაკ-მაკონი თუ ახალი ზალატი უფრო რესპუბლიკელი იქნება ვიდრე მველი? ორში ერთს: ან სამსახურს თავი უნდა დაანებონ და ან ძალა იხმარონ. რაც შეეხება მხედრობას მისი მიდრეკილება დმერთმა უწვის. სამხედრო საქმეთა მინისტრი კი ამბობს, რომ მხედრობა მთავრობისკენ არ იქნებაო.

— გერმანიელნი დარწმუნებულნი არიან, ადრე თუ გვიან საფრანგეთისა და გერმანიის შორის ომი ასტედება, რადგანაც საფრანგეთში საქმე ისე მიმდინარეობსო. მაგრამ თვითონ ბონაპარტიელებიც არამალევენ ამას და დიდი იმედი აქვთ ავსტრიისა. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ თუ გრადი ანდრასი სამსახურიდამ გამოვიდაო, ავსტრია გერმანიას გაეერებაო და საფრანგეთსა და ინგლისს მიუდგებაო. უსათუოდ ამის გამოისობით წინასწარმეტყველებს ერთი ბერლინელი კორრესპონდენტი და ამბობს, რომ რომელიმე მოულოდნელი შემთხვევა იძულებულ განდის ევროპას მიტყულად გადასწვვიტოს და გაათავოს აღმოსავლეთის საქმეო.

— ამ აღმოსავლეთის საქმეზედ ახალი არა ისმის რა. მშვიდობიანობაზედ ღაპარაკიც შესწება. თითქმის ეველა დარწმუნებულია, რომ თ. გარჩაკოვის მიწერილობას ინგლისთან არავითარი მტკიცე მნიშვნელობა არა აქვსო.

— სტამბოლში დიდი უკმაყოფილებაა თურმე. ეველა დარწმუნებულია, რომ არზრუმი ვერ გაუმავრდება რუსის ჯარს, რომელიც სამის მხრიდამ ეტანება ამ ქალაქსა.

— ერთს ინგლისურს გასეთში სტამბოლიდამ იწერებია, რომ ლეიარდი (ინგლისის ელჩი ოსმალეთის წინაშე) ძალიან გაჭირებულს მდგომარეობაშიაო, რადგანაც ხონთქრის მთავრობა აღარას მოელის ინგლისისაგანაო. ოსმალეთი უფრო გერმანიას ენდობა, თუ გაუჭირდა ეველასზედ უწინარესს ბისმარკს მოსთხოვს მუამდგომლობისაო. აბა ეხლამობმანდით და გაიკეთ რამ ამ აღმოსავლეთის საქმისა. მაგრამ იქნება ამ გასეთს ინგლისის წინაღობა უნდა და იმიტომ ღაპარაკობს ასე. ზოლიტიკის ეშმაკობას ვინ აუვა?

— ღონდონის ზალატში ფინანსთ-მინისტრს, ნორტკოტს შემდეგი უთქვამს თურმე: თუძცა ევროპის საქმეთა მდგომარეობა ამ ჟამად მძიმეაო, მაგრამ ინგლისის ზოლიტიკა კი სანდოაო, რადგანაც ეოველი ღონისძიება მთავრობისა ჩვენის ქვეყნის სარგებლობისაკენ არის მიმართულიო. თუ საჭიროება

მოითხოვს ინგლისს შეეძლება მტკიცედ და თამამად ამოქმედოს თავისი საქმე და სხვაც იძულებულ ჰქმნას, რომ ინგლისის ხმას ზატვი სცესო. რა მიმართულებაზე უნდა მიიღოს საქმეთა წარმოება, მაინც ბოლოს ინგლისი იძულებული იქნება თავისისა და მთელის ევროპის სასარგებლოდ ფიცხი მოანაწილეობა მიიღოს აღმოსავლეთის საქმის დაბოლოებაშიო.

– ლონდონის ზალატს გარდაუწვევტია ხუთი მილიონი გირვანქა სტერლინგი ისესხონ ინდოეთისათვის, სადაც, როგორც მოგვსენებათ, ხალხი ლამის შიმშილისაგან გაწუდეს.

– ინგლისურს გაზეთს თიმეს-ს შემდეგი ცნობა მოსვლია სტამბოლიდან: ამბობენ ოსმალეთის მთავრობას მოუწადინებია ინგლისს წერილით ზასუნი მისცეს სუეცის არხის შესახებ. ოსმალეთს სუეცის არხი თავის საკუთრებად მიანინაო და ამბობსო, რომ თუ კი შუახლვაში შემოიღიან ვეომო ჩემს მტერსაო, ცხადიაო, რომ ჩემს საკუთარს მიწა-წყალხედაც შემოიღიანო. ოსმალეთს კარგად ესმისო სუეცის არხის ხალხთა შორისი მნიშვნელობა და ამიტომ ეცდება რომ ამ ალავს ბრძოლა არ გაიმართოსო. ამის გულისათვის ოსმალეთი არხის შესავალში თავის ჯარს დააყენებსო, რომ რუსების ხომალდები არ შემოვიდნენო.

– სტამბოლის მდგომარობის შესახებ ერთს ავსტრიის გაზეთში მოხსენებულა, რომ თუმცა ოსმალეთის მთავრობა ძალიან სასტიკად ეკიდებაო ხალხს უკმაყოფილობის გამოცხადებისაგამო, მაგრამ მაინც საქმე ძალიან ცუდათ მიდისო. დატუსალება და განდევნა არამც თუ კლებულაბსო, არამედ ეოველ დღე მატულობსო. ერთი კვირის განმავლობაში ორასი კაცი განდევნესო. ეს გარეობა არავის არ ამინებსო და ხალხს უფრო აშოთებსო. ეველა მიტხად-ფამის დაბრუნებას თხოულობსო. თუმცა მთავრობა ეოველ დონისძიებას ხმარობსო, რომ არ გამოაშკარავდეს ნამდვილი მდგომარეობა ოსმალეთის მხედრობისა, მაგრამ მისი ავ-კარგიანობა ევალამ კარგად იცისო.

– როგორც ბუნარესტიდამ ერთს ავსტრიის გაზეთში იწერებინან, „გორჩაკოვს უთქვამს ნოვიკოვისათვის (რუსეთის ელჩია ავსტრიის წინაშე) ავსტრიის მთავრობას საიდუმლოთ შეატყობინეთო, რომ მთავარი მილანის ვიზიტი (მთავარი მილანი ხელმწიფე იმპერატორის სახანავად იყო წასული ზლოემტში) მხოლოდ მართებულობისა და ზატვიის ცემისათვის იქმნაო და სხვა არა რა მნიშვნელობა არა აქვსო და რუსეთი თავის სიტყვას არ გადუდგება სერბიის შესახებო. იგივე ტელეგ რამმა ამბობს, რომ

მაინც ბუნარესტში არა სჯერათო, რომ სერბია ომში მონაწილეობას არ მიიღებსო.

– მეორეს მხრით ბელგრადიდან სხვა გაზეთში იწერებინან, რომ სერბია დიდ მზადებაშიაო; მთავრობას უბძანებიაო, რომ ეველა აფიცრები და მოხელენი მზად იევენო. სერბიის სახლვარხედ ოსმალეებსაც დიდი მზადება აქვსთ თურმე.

– გერმანიის იმპერატორს ემსმი წასვლის დროს შეუერთათურმეთავისიმინისტრებიდათავისიმწუნარება გამოუცხადებია მასხედ, რომ სამღვდლოებას და სოციალისტებს რაღაც აღმაშოთებელი მიდრეკილება დაეტეოვო და იმედი მაქვსო, რომ სიმტკიცეს გამოიჩინთ თქვენის მოვალეობის აღსრულებაშიო. უნდა მოგახსენოთ გერმანიის იმპერიას ორგვარი მტერი ჰქავს შინაობაში: კათოლიკის სამღვდლო და სოციალურ-დემოკრატები. ამას დაუშეტო, რომ შინაურობაში ეოველი სახელმწიფო გერმანიისა ცალკე მიიწევს და ერთობას როგორღაც ვერ ემორჩილება და მაშინ ცხადად დაინახავთ, რომ გერმანიის იმპერია მტკიცე და საიმედო სიადავ ხედ არა დვას. მამ საკვირველი არ არის, რომ გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი შეწუნებულა მასხედ, რაც გამოუცხადებია მინისტრებისათვის.

კავთობა სოფელს კურდღელაურში

(„ივერიის“ კორრესპონდენცია.)

სოფელი კურდღელაური მდებარებს ქ. თელავის ჩრდილოეთით და ისე ახლოა თელავხედ, რომ თითქმის ამისვე ნაწილს შეადგენს. ეს სოფელი გაეოფილია ორს სამრეველოდ (პრისოდად) თავთავის მღვდლებით—ერთს უწოდებენ ქვემო-კურდღელაურად, მეორეს ზემო-კურდღელაურად. ამ უკანასკნელ სამრეველოში არის ეკლესია—სალოცავი „კავთა“, რომლის დღესასწაულსაც ჩვენი ხალხი წელიწადში ერთხელ იხდის. ეს დღესასწაული ეოველ წლივ მოდის ზეტრეზავლობის აღების დამის დღეს, რომელიც წელს იყო 22 მაისს. ვინ კავთა ვინ ეკლესიის დღესასწაულიო, რა წმინდანია „კავთა“ და რა მიზეზია, რომ ხალხი მას ამ სახელს უწოდებს და იმისთანა ზატვიცა ჰსცემს, როგორიც შემვენის მხოლოდ წმინდანებსაო, იკითხავს მკითხველი. ამის ზასუხად მე გარდავცემ მკითხველს ერთის მოხუცის ნაამბობს, რომელიც ამ შემთხვევაში დირსია შენიშვნისა: „უწინდელ დროშიაც, როგორც ეხლა, თურმე ხშირად გადმოსახლებულან კახეთში ქართლიდგან, იმერეთიდგან და სხვა საქართველოს

კუთხეებიდგან. ალბათ მოსწონდათ და მოსწონთ რამე იმათ ჩვენს ქვეყანაში, თორემ ისინი თავიანთ მამა-პაპის მიწა-წყალს ადვილად თავს არ დაანებებდნენ.

ამისთანა გადმოსახლების დროს, რასაკვირველია, თავიანთი უოველივე სარჩო-საბადებელი უნდა თან წამოეღოთ. ეს კი იყო, რომ ერთი მიზეზი ძრეულ ანბროლებდა გადმოსახლებულთ. ეგ მიზეზი იყო იმათი ეკკლესიები—სალოცავები, სადაც იმათ ჟამით ჟამად უნდა ეარნათ სალოცავად, როდესაც ისინი ან სიზმარს ნახავდნენ, ან მკითხავე ეტეოდათ რასმეს ამასხედ და ან თვითონ გამოიძიებდნენ თავიანთის უბედურების მიზეზს. მაგრამ ნათქვამია „გაჭირება მიხვეწე, გაქცევას გიხვეწებო“, სწორედ ჩვენებსაც ესე მოუფიქრიათ. ამის მაგივრად, რომ იმათ არ ეარნათ კახეთიდან თავიანთ მამა-პაპის სალოცავებში, იმათ თურმე გადმოუღებინებიათ მამა-პაპის სალოცავის ხატისპირი და ეს გადმოღებული ხატი თან წამოუღიათ სალოცავად ახალ ადგილს. ამ სახით გადმოღებული ხატი ხიზნებისთვის ახალ სალოცავად შეიქნებოდა ხოლმე და მისის მეოხებით აღარა საჭიროებდნენ, რომ ძველ სალოცავში ეარნათ ჟამთა ვითარების მოთხოვნილების დროს. ამასთანავე შემთხვევით გადმოუტანიათ ს. კავთის-ხევიდგან (ქართლშია) ს. კურდღელაურში წმინდა გიორგის ხატი იქიდგან გადმოსახლებულებს, გვარით, — „ბახიძეებს“, გაუკეთებიათ ჰატარა ფიცრული ეკკლესია (ეს ძველი ფიცრული ეკკლესია 1870 წ. ისევ იდგა უწინდელს ადგილს და გარს აშენებდნენ ახალს ქვით-კირის ეკკლესიას, რომელიც ეხლა დანურვილია) და შიგ დაუსვენებიათ. ეს იყო ამათი სალოცავი ხატი. რადგან ამ ხატმა ძრეილება გამოიჩინა, სხვა ხალხმაც იწყო ლოცვა და აი ეხლა მთელი თელავი, ახლო-მახლო და შორეული სოფლებიც სულ აქ დაიარებიან. ამისთანა ძლიერებამ და მლოცავის სიმრავლემ აფიქრებინა ერთს უწინდელის ხატის გადმოძრევის გვარის კაცს აშენება ქვითკირის ეკკლესიისა და კიდევ დაიწყო მისი შენება თავად ვახვანოვთაგან ნაქუჩებს ადგილსა. ეს იყო ივანე ბახიძე. როდესაც ამან ოთხ არმინსხედ აიყვანა ეკკლესიის კედელი, ეს მამინ მოკვდა და ეკკლესიაც გაუთავებელი დარჩა. ამის შემდეგ ეთხოვნა ეკკლესიის დათავება ერთს სომეხთაგანს, მაგრამ საქართველოს არქიერს ნება არ მიეცა, როგორც ამბობენ, 1871 წ. ერთმა უბანმა ს. კურდღელაურისამ ითავა დასრულება დაწეობილის ეკკლესიისა და კიდევ შეასრულა თავის წადილი 1876 წ. ეხლა ეკკლესია მხათ არის, მხოლოდ კანკელი არა აქვს“. ამით გაათავა მოხუცმა თავის საუბარი. რომ კავთობა უბრალო დღესასწაული არა ეოფილა

კახელებისათვის, სხვათა შორის, ჰხანს იქიდგან, რომ ამ ეკკლესიასხედ და სალოცავ ხატსხედ მიუქცევია ურადღება ჩვენს ბატონიშვილს თეიმურაზ გიორგი მეფის-ძეს. ამის შემოწირული მდიდრად შემკული ხატი ასვენია ეხლა კავთის ეკკლესიაში უწინდელის უბრალო ფიცრის ხატის მაგიერ. აი ამ ხატს რა აწერია ზურგსხედ: „წმინდა ესე ხატი მთავარ-მოწამისა გიორგისა, შევამკვე მაფის გიორგის-ძემ თეიმურაზ. და მთავასვენე ამას შინა სისხლი წ-ისა გიორგისა. და კახეთს თელავი კურდღელაურში, რომ მცირე კავთის წმინდის გიორგის საუდარი არის იმისთვის შემოწირავს. იქ დასვენდეს ჩემს მოსახსენებლად, მეუღლისა ჩემისა მეფის სძლის ელენესა, ვითხოვ ეოველთაგან რომ ამ საუდარს კავთისას ამ ხატს ნურავინ მოაშორებს:—წელსა ქ-სით ჩემდ.მამისის კა. მოქცევასა მეათოხმეტისა ქორთოკონისასა. ფლობ:—“ ხატს აწერია ზემოდგან თავსხედ ქართულად „წ. გ-ის ხატი.“ და რუსულად: -რუსულად: „с. М. Георг.“ ოთხსავ კუთხივ ამ ხატს აქვს 4 ზურმუხტის თვალი, 3 იავუნი, 4 ფირუხი და 7 ალმასი. თვით ხატი არის ოქროსი, სივამე აქვს ორგოჯ—(ვევმოკ) ნახევარი, სივანე—ორგოჯს ცოტა ნაკლები. მე მითხრეს, ვითამც ეს ხატი გამოეგ ზანროს თეიმურაზ ბატონიშვილს ჰეტერბურგიდამ ოლია ჩოლოყაშვილის (რომელიც 11 მაისს გარდაიცვალა ომში დაჭრილობისაგან) ხელით. დღესასწაული თავის დროს გატარებით არ ეოფილა შესანიშნავი. თუ რამე მნიშვნელობა აქვს ამას, უფრო თელაველებისათვის, რადგანაც აქედგან ბევრი ხალხი მიდის იქ უფრო სასეირნოდ, ვიდრე სალოცავად. ეკკლესიის ჰატარა ეზოში დღესასწაულის წინა დღეს საღამოთი თქვენ ჰხედავთ ორიოდე ურემს სოფელის მლოცავებისას, ქოხების მხადებას სომხებისაგან მორეს დღისათვის, ცოტაოდენ ხალხს თევალიდგან და კურდღელაურიდგან. მიკიტანს ჯერ ურს არა ვინ უგდებს, თუმცა ეს ხალხისიანად იწვევს სტუმრებს. მეორეს დღეს ეს სურათი ცოტათი იცვლება. მთელი ეკკლესიისეზოსავსეახალხით, ორიოდეადგილიდგან ისმის ქალების დაირა და კაცების სიმღერა და ღზინი. სამიკიტნოში ოციოდე კაცი ზის ჯგუფ-ჯგუფად. იმათში მომეტებული ნაწილი თელაველები არიან. ესენი უმეტესად კუჭის გავსებას ცდილობენ, ვიდრე ღზინით დროს გატარებას. მომეტებული ნაწილი ქალებისა და კაცებისა უქმად დგანან და იეურებიან. მოვაჭრე ხალხს მაგრე რივად ურს არავინ უგდებს. დაბალი ხალხი მომეტებულიად გარს ეხვევა მრგვალ სტოლებს რომლებსხედც უბრალო ნივთები, აწვეია და რაღაცაა ლატარისავით გამართული. საწყალს გლენს ჰსურს თავის ბედი ჰსცადოს და რომელიმე

მვირფასი ნივთი მოიგოს, მაგრამ უბედურად ვერა ხედავს, თუ რა ნაირად მოტყუებულია. ვინ უგდებს ამას ეურს, დროს გატარება განსაზღვრავს. საზოგადოდ რომ ვსთქვათ, ხალხს ანუ მლოცავს არ ეტეობა მხიარულობის ნიშანი; ხალხი რაღაც გულ ჩათხრობილია. კურდღელაურელების შესახებ ეს ადვილად შეიძლება აიხსნას, რადგან ისინი ამ ცოტახანში მრეულ დაიხეტევენ, მაგრამ სხვაზე რაღა მოქმედებდა? მაგრამ რა?

ამისთანა დროს ზნეობას და სასოებას მაინც უნდა ეჩინა თავი. მაგრამ ამის შესახებ აი რას ვხედავთ აქ: მლოცავი ეკლესიასთან; მომეტებული ნაწილი ეკლესიაში არც კი შედის და თავის ზნეობით ვალს იმით ათავებს, რომ ეკლესიის კარებთან ხელს უაზროდ აფოთინებს გულზედ, ვითომც და ჰირჯვარს ვიწერო. ეკლესიაში შესდისარ, იმ იმედით რომ აი აქ მაინც მლოცავებს ნახავთ და ამასთან შესაფერს წესს სიწმინდეს, კრძალულებას. ეკლესიაში ჯერ კანკელი არ არის გაკეთებული; საკურთხეველში ჰერია ცხვრის ტეავები, რომლებშიაც არის განხვეული მღვდლის ულუფა ანუ ეკლესიის შესაწირავი-ცხვრის მხრები; აქვე ასვენია ტიკი ზედაშისათვის და სხვა ამ გვარი ხარახურა. ნუ თუ სხვა ადგილი აღარ იზოვებოდეს ამისთანა შესაწირვის შესანახავად, თუ არ ეკლესია და უზირველესი მისი ნაწილი საკურთხეველი!...

ეკლესიაში დგას რაოდენიმე ქალი და კაცი; აქვე დგას ერთი ადგილობრივი თავადთაგანი. ამან სთქვა ორიოდ სიტყვა იმაზედ, რომ ეს ეკლესია აქამდის უნდა გათავებული ეოფილიყო და ნაკურთხინც, მაგრამ, საუბედუროდ, ადგილობრივი ბლადოჩინი ამ საქმეს ჯეროვანს უურადლებას არ აქცევს, რომლის მიზეზით ეს საქმე აქამდის დარჩომილია. ამანვე სთქვა, რომ გლეხების თხოვნის თანხმად უთუოდ ამ საქმის შესახებ ეტევის ორიოდ სიტყვას ადგილობრივ ბლადოჩინს, როდესაც ეს უკანასკნელი მოვა ეკლესიაში. მართლაც ბლადოჩინის მოსვლის შემდეგ მოსვლიათ ისეთი გაცხარებული ლაპარაკი ბლადოჩინსა და ამ თავადს, რომ ესლა ამაზედ თელავში ეველა კუთხეში ლაპარაკობენ, ზოგი ასე ჰსჯის, ზოგი ისე. რადგანაც ეველანი ელიან და თვით მეკამათენიც იქადიან, რომ ამ საქმეს ისინი შინაურულად არ გაათავებენ, არ იქნება უსარგებლო მოკლეთ გამოვნატოთ იმათი ჩხუბის საგანი ისე როგორც შეგვიტევა თვით მეკამათეთაგან და ახალის ამბის მოვეარტეთაგან.

დილის თერთმეტს საათზედ შემოდის ზემორე აღწერილს ეკლესიაში გაოფლიანებული ბლადოჩინი მუბლის წმინდით. ცოტა ხნის შემდეგ შემოდის

ზემორე აღნიშნული თავადიც. „რატომ კანკელი არა აქვს გაკეთებული ამ ეკლესიას აქამდის? ჰკითხა თავადმა ბლადოჩინს.

— ამისთვის რომ ფული არ განსაზღვრავთ, უნახუნა ბლადოჩინმა.

— რა უკავით 170 მ. ეკლესიის ფული, რომლითაც კანკელი უნდა გაგეკეთებინათ?

— მე შევჭამე, ვითომ ზუმრობით და დანცინვით მიუგო ბლადოჩინმა.

— მართლაც რომ თქვენ შესჭამეთ და აქამდის თქვენის მიზეზით კანკელი გაუკეთებელი რჩება.

— თქვენ ამ საქმეში ხელი არა გაქვსთ და არც ამ ეკლესიის მრეული ბრძანდებით, რომ მაგისთანა განხილვაში შემოდინარ.

— მე აქაური მცხოვრები ვარ და ჩემი მოემენიც აქ სცხოვრებენ მე სრული ნება მაქვს ხმა ამოვიღო ამ საქმეზედ და მოვითხოვო შენგან ანგარიში, მით უმეტეს, რომ თვით აქაურ მცხოვრებთ ჰსურთ შეიტკონ, თუ რატომ არ აძლევთ ამათ კანკელისათვის დანიშნულს ფულს და ან თვით თქვენ რატომ არ აკეთებინებთ კანკელსა.

— შენ თუ ტამრები გიევარდეს და იმათთვის ზრუნავდე, უთუოდ არ გაჰყიდდი შენს კარის ეკლესიას, შენ ეკლესიის თავი ვინ მოგცა და ან იმის განმევენებაზედ ზრუნვისა.

ამაზედ შეჰყოლიან და კაი ლაზათიანი ჩხუბი გაუმართავთ შინ ეკლესიაში.

ბლადოჩინს მეტად ხმა აუმაღლებია და ადგილის მეუფერებელი სიტყვა უხმარიაო, ამბობენ. ბოლოს დაუვირინია თავადისათვის: „შენ ნება არა გაქვს ეკლესიაში ამ გვარად ლაპარაკისა—გადი კარში?“ ამასთანავე უბრძანებია ედგილობრივის მღვდლისათვის, რომელსაც ამ დროს, როგორც ამბობენ, ემაწვილი უნათლავს, რომ თავი დაანებოს ნათლობას (ბლადოჩინი რომ ჩხუბობდეს, ემაწვილის რა ბრალა ან რომელი ტიბიკონი ანუ კანონი მოითხოვდა იმას, რომ ამ მღვდლისათვის, რომელიც საიდუმლოს აღასრულებდა და ჩხუბში არაფერს მონაწილეობას არ იღებდა, მაჩხუბარს ბლადოჩინს გაეწვეეტინებინა საიდუმლოს აღსრულება.) ჩემის ფიქრით, მღვდელს ჰახსუნი უნდა მიეცა, რომ მამაო ბლადოჩინო, თქვენ თვითონ, როგორც მაჩხუბარს და წესიერების დამარღვეველს, შეგომლიანთ მიბმანდეთ კარში და ჩვენ მაშინ დამშვიდებით აღვასრულებთ ჩვენს საღმრთო ვალს“.

ჩხუბი გათავდა ორივეს მხრით, იმით რომ ერთმანეთს ჩივილს დამუქრებინან. ამბობენ ვითომც ბლადოჩინს კიდევ შეეტანოს ამაზედ საჩივარი

ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლესთან.

ეს შემთხვევა, როგორც ჰხედავს მკითხველი, სხვა დროს, სხვა ადგილს და სხვა პირის შესახებ რომ მომხდარიყო, რასაკვირველია უურადღების ღირსი არ შეიქნებოდა, მაგრამ ეს კი ამას თავის ღირსეული ფასი უნდა მიეცეს, რადგან ეს ამბავი მოხდა ეკლესიაში, როცა ეკლესიაში მლოცავნი იყვნენ და მღვდელი ნათლობის საიდუმლოს აღსრულებდა, მოხდა თვით ბლადოჩინისაგან იმ კანცის წინააღმდეგ, რომელმაც მრევლის მაგიერ ხმა ამოიღო კანკელის თაობაზე. ჩემის ფიქრით, საქმე ამ გარემოებაშია.

თავადი ამ შემთხვევაში გამოხსულა შუამდგომელად ხალხისა და ბლადოჩინის შუა. ეს შუამდგომელობა, საქება და არა განსაკიცხავი.

ეტნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა.*)

(შედეგი).

III. ძველნი და ახალნი მკვიდრნი მოსახლენი ზონტოს სამეფოსი, მონათესაობა მათი საქართველოს ერთან და იგივეობა იმათის ენისა.

— პირველ უწყებსა ხალხთათვის, რომელნიცა მკვიდრობდნენ ზონტოს სამეფოში და კოლხიდას, ჰსცნობთ ჩვენ ქსენოფონტის წიგნისაგან, ცნობისა სახელსა ქვეშე ანაბაზის, ე. ი. უკან დაბრუნება ათი ათასისა ბერძენთა მხედართა. ქსენოფონტი ჰსცნოვრებდა 200 წლის წინათ ქრისტეს შობისა, გამოიარა მთლად ჯერ კოლხიდის ადგილები და მასუკან ზონტოს სამეფოსი და აღსწერა მკვიდრნი მოსახლენი და ადგილები დაწვლილებით და განაოცებლის სისწორით. შემდგომნი ბერძენთა მწერალნი მხოლოდ განამოკრებენ მის უწყებათა; ამისთვის ვრაცხე საჭიროდ, რაც შეეხების ხალხთა ან ამ ადგილების აღწერასა შემოკლებით განვიხილო, ქსენოფონტ მოუთხრობს:

„ჩვენ რომ გავიარეთ სათავეტიგრის მდინარისა, სამის ანძით, მივედით თელებოას (1) მდინარის ნაპირსა, სადაცა სახლობენ სომეხნი, ემანი ტირიბაზისა, მთავრისა ფაზიანთა და ჰესპერიტთა, (2) ქართული სახელი ტიხა მთა აწ ჭარანტაში ნახე ტექსიეს კარტები.

*) „იუკრია“ № 15.

(1) თელებოას მდ. ერთის ეფრატსა, ნახე ტექსიეს კარტები.
(2) ფაზიანის ქართველთა ბასიანის, ჰესტერიტი ქართველთა სპიანის ხეობა.

რომელიც იდგა აქ თავის მხედრობითა და გვიპირობდა ომსა. ჩვენ რომ დაუხანლოვდით ბარბაროსთა შექმინდათ და გაიქცნენ. ამითი გავვიადვილდა ჩვენ წინამდებარე გზა, თუმც სიცივემ და თოვლმა ძალიან შეგვაწუნა, გავედით ეფრატის მდინარესა და მივედით ფაზის მდინარის ნაპირსა (1), სადაცა მრე ვექმენით ხალიბთა, ტაოელთა და ფაზიანელთა; ამის შემდგომ შევედით ქვეყანასა ტაოელთ და მასუკან ხალიბთა. ხალიბები არიან შემმართებულნი და უშიშარნი ომისა, ტანხედ აცვიათ მოკლე კურტაკი, წვივზედ ჰაიჭები, თავზედ ჰხურავთ ზეჩი და საომრად სახმარნი იარაღნი აქვთ: ხანჯალი, შუბი და წელზედ ჰკიდიათ თოკები (2). ხალიბები ივენენ ჩასაფრებულნი მთებში და ძალიან გვავნებდნენ. გავედით რა ჰარფასის მდინარესა (3) მივედით ქალაქსა ღიმინას. (4) ამ ქალაქის მოურავმან მოგვცა ჩვენ ეტიკი, რომელმან მიგვიყვანა ტიხის მთამდე (5); ამ მთის ქედამ დაინახეთ ზონტოს ზღვა და შეგვექმნა სინარული, რივიანად დაუსახუქრეთ ჩვენ ეტიკი და გადავედით მაკრონების ქვეყანაში. მაკრონებსა საჭურველად ჰქონდათ: ხის ფარი, შუბი და ივენენ მოსილნი ნაბღებითა. ჩვენს მხედრობაში იყო ერთი მეომარი ნათესავით მაკრონი (6) რომელიც გავუ საფრეთ მოსაღაპარაკებლად მაკრონებთან, რომ ჩვენ უგნებელად გავვიმონ და საუზალი მოგვცენ. მაკრონებსა სინარულით აღასრულეს ჩვენი თხოვნა, მოგვცეს საუზალი და გვიჩვენეს გზა, შეგვიყვანეს

(1) ფაზის მდ. აქ არეზის მდინარეა, რომელსაც დასაბამი აქვს ბასიანში და არა ჭოროხის, მისთვის, რომ ამ მდინარეს რომ ტავდა, შეედა ტაოს ქვეყანაში, სადაც ჰდის ჭოროხი.

(2) ზოგორც ახლანდელს გურულებსა.

(3) ჰარფასე არის სპიანო, ერთი ტოფი ჭოროხის მდინარისა და არა არბაზ., ზოგორც ბგონიებს აი ინგლისის მწერალი ა. ნსკოტტი და ვიეიენ სენმაჩტენი, ტვ. 321 ტომი I.

(4) ღიმინას ქალაქი, აწ ჯიმილი და არა ჯინისი, რომელიც მდებარებს მახლობელ არზრუმისა, როგორც ჰგონებს აინსფორტი ან ვიეიენ სენ მარტენი. ჯერ არზრუმს გაივლიან და მასუკან ტაოს ქვეყანაში შევლენ, აქ კი წინაუკუღმად არის, ჯერ ტაო გავუვლიათ და მასუკან არზრუმს მისულან. ქსენოფონტს უკეთ ჰცოდნია ეს ადგილები ვიდრე განათლებულთ ევროპიელთა.

(5) ქართული სახელი ტიხა მთა აწ ჭარანტაში ნახე ტექსიეს კარტები.

(6) მაკრონები არიან ხანი ან ჭანები. სტრატონის წიგნი 12. ამითი ჰხანს რომ ტაოელნი, ხალიბნი და ისპირის ხეველნი ივენენ ქართველნი და მაკრონი ჭანნი; მხედარმა იცოდა ჭანური ენა, და არ იცოდა ქართული, რომ ელაპარაკან ქართველებთან.

კოლხიდაში, რომელიც ძალიან მოშენებული არის, და დაუახლოვდით ტრანჰეზუნსა. ტრანჰეზუნი არის ქალაქი შავის ზღვის პირზედ, ამენებული მოვაჭრეთა ბერძენთაგან კოლხელების ქვეყანაში. ამ ქალაქის მცხოვრებმა კარგათმიგვიღეს, სულადს ვაჭრობდით დრილებისაგან (1) და ვინც უძლეური და დაჭრილი იყო ჩავსვით და გავისტუმრეთ საბერძნეთში, სხვანი, ვისაც ღონე ჰქონდა შეუდევით ვხასა ზღვის ნაპირზედ და მივედით კერასენს, ქალაქსა, რომელიც იყო დანარსებული კოლხიდაში, იქ დავისვენეთ რამთონიმე ხანი; იქიდან გადავედით მოსინაკთა ქვეყანაში. მოსინაკებს მაშინ ჰქონდათ ერთმანერთში ბრძოლა, ჩვენ უშველეთ ერთ მებრძოლსა მხარეს, მრე ვექმენით მოპირდაპირეთა. ავიღეთ მათი ტახტის ქალაქი, სადაცა ჰყოფთ მრავალი სანოვაგე. მოსინაკნი არიან მოქერანნი, ტანადნი, ბრგენი, იღებენ ტანსა სხვისა და სხვისა ფერთა და განსცხრებიან ავხორცობით აშქარად, თავზედ ჰხურავსთ რეინის ზუხები, ტახზედ აცვიათ მოკლე კაბა, საომარი იარაღი აქვთ: ხის ფარი, ხელ-შუბა და ორბირი ნაჯახი. მოსინაკების შემდგომ ზღვის პირზედ ჰსცხოვრებენ ხალიბნი და მათ შემდგომ ტიბარენნი, მახლობელ ქალაქისა კოტიორა. ტიბარენთა ადგილი არის ვაკე და მდიდარი ნაყოფიერებითა,“ და სხვანი.

პირველი ხალხი, რომელიც მოიხსენება ზემოხსენებულს განხილვაში, არის ფაზიანი, ქართველთა ბასიანელი. ბასიანსა, როგორც ჰსჩანს ქსენოფონტის აღწერისაგან, ჰრწევას მდინარე არეზი, რომელიც ადგილის გამო ისახელებოდა, აწცა ისახელების ფაზის მდინარედ (ფასინსუ ოსმალთა). მცხოვრებნი ბასიანისა ან ფაზიანის ქსენოფონტისა (2) არ ეკუთვნოდნენ ნათესაობით არცა საქართველოს ხალხთა, არცა სომხისა (3) და ღეროდოტის დროს იწოდებოდნენ ალაროდინად (4). ვახუშტი თავის საქართველოს აღწერაში ჰსწერს, რომ ეს ადგილი წინაპირველად ეჭირათ სომეხთა, მათ შემდგომ დაიმონიეს ბაგრატიონთა და შემოაერთეს სამცხესა და მუნიდგან ეკუთვნის საქართველოს (5). აწ ბასიანი შეადგენს არწრუმის ქვეყანასა.

მეორე ხალხი ხსენებული ქსენოფონტისაგან არიან ტაოხნი ე. ი. ტაოელნი, ან ტაოს

(1) დრილები არიან ჰანელები ან სანები, როგორ ამტკიცებს არრიენი, გვერდი 54, 55.
 (2) წიგნი 4 §. 6.
 (3) სტრატ. წიგნი 12 თავი I. §. 1.
 (4) ღეროდ. წიგნი 3 § 90 94.
 (5) ვახუშტისა გამომც. უფ. ბროსეტისაგან გვ. 120.
 (6) ქსენ. წიგნი 4 § 7.

მცხოვრებნი (6). ტაო, ცნობილი საქართველოს თემი, აწცა მდებარებს მარცხნივ ნაპირსა ჭოროხის მდინარისა, გარნა მაჯვნივ ნაპირზედ იყო არტანუჯის საერისთაო. უპირველესი ქალაქი ტაოში იყო და აწცა არის ოლთისი; ტაოსი ჰრწევიდა თორთომის მდინარე, ტოტი ისპირის მდინარისა: სამხლვრად ჰქონდა ჩრდილოეთით მთები, რომელნიც შეუდგებიან ისპირის ხეობას და სამხრეთით ირაჯლუს მთა (აწ კარგა ბაზარი და მოსხის მთა), რომელიც გაჰყოფდა ტაოს ბაზიანისაგან. აქ სათანადო არის შენიშნვა რომელ კიპარტის ქარტებზედ ჭოროხს სახელს ჰსდებენ ისპირის ხეობად, და ნამდვილს ჭოროხსა თავასუდ და ოლთისსუდ, წინააღმდეგ ძველთა მწერალთა და ვახუშტისა აღწერისა (1). მას ზევით მდებარემდა სპერი ქართველთა მწერალთა ისპირის ხეობა; ტაო და სპერი შეადგენდნენ კლარჯეთის საერისთოსა. (2)

აწინდელთა სომხების მწერალთა ჰგონიათ, რომ ორივე ეს თემი, ე. ი. ტაო და სპერი ეკუთვნოდან მათ და იევენენ მუნ მკვიდრნი მოსახლენი; ეს აზრი ტუილია, ძველნი მწერალნი თვით სომეხნი ამტკიცებენ წინააღმდეგსა (3). აქ არ იყო სომხობა, ეს იყო ნამდვილი საქართველო, სახელ-ელებოდა ზემო ქართლი და არა სომხითი. აწცა იწოდების ოსმალთაგან გურჯის ტანად და მკვიდრნი მოსახლენი არიან გათათრებულნი ქართველები, რომელთაც არ დაუვიწყრიათ ქართული ენა.

აქ გამოხდნენ პირველად ბაგრატიონები, ეს იყო მათი სამშობლომამული. სომხებსა ჰგონიათ, რომ რაც ბაგრატიონებს ეჭირათ მამული და ადგილები იქ სულ სომხობა იყო,—ამაზედ ძალიანა ჰსცთებიან: ჯერ თვით ბაგრატიონები არ იევენენ სომხები. მოსე ხორენაცი მოუთხრობს რომ „მამბა (სუმბატ) ბაგრატიონი, თავის ნებით შევიდა მფარველობას

(1) ვახუშტის ქარტა და აღწერა, გვ. 120. ისპირის მდინარეს ქსენოფონტი ახსენებს ჰარფასად. ნახე ზევით შენიშნულობა.
 (2) სპერი, ან ისპირი ცნობილიყო ძველთა მწერალთაგანცა; ღეროდოტე უწოდებს ჰესპერად, ან სასპირად.
 (3) მოსე ხორენაციის ღეოდრაფია, სენ-მარტენის ნათარგმნი. ტ. 2, გვ. 357, სადაც კლარჯეთს ეწოდება ვენარდი; ვარდანის გეოგრაფია სენ-მარტენის ნათარგმნი გვ. 427, სადაც სინათლით ამბობს რომ დაიკი, ე. ი. ტაო, ეკუთვნის იბერიას და მოუდის ისპირის მდინარე.

ქვეშე ვაღარძაკისა სომეხთა მეფისა, რომელმან ნამსახურობისათვის უბოძა ერისთობა დასავლეთის მხრისა, სადაც არ ლაპარაკობენ სომხურად (1).“ დასავლეთი სომხეთისა არის: ბასიანი, ტაო, სპერსი, არტანუჯი, და სხვ. რომ ბაგრატიონები არ იყვნენ სომხები და არცა ჰრწმენათ სომხებს საწმუნოება მოსე ხორენაცი მრავალჯერ განამეორებს. ჩვენი ცხოვრება მოუთხრობს რომელ ბაგრატიონნი, ჩამომავალი დავით წინასწარ-მეტყველისა და მეფისა მოვიდნენ IV საუკუნეში (2) ეკლესიად. და ნათელ-იღეს ხელითა რაქილ დედოფლისათა (3). ჭეშმადარიტად ჰირველი ბინადრობა ბაგრატიონთა ამ ადგილებშია და არა სომხეთში, ეს იყო, როგორც ვჰსთქვით, მათი სამშობლო ქვეყანა. შემდგომ ქართლისა და კახეთის დაპყრობისა არაბთავან ქართველობა განძლიერდა ამ ადგილებში. მეშვიდე საუკუნეში ქართველებმა, დავით გარეჯის უდაბნოს მაგიერად, აქ დააფუძნეს ოლთისის მონასტერი, თავი და დასაბამი სამღვთო და საეროთა სწავლათა, აქ განუპრცელდა, წინააღმდეგ მაჰმადიანობისა, ქრისტიანობის საწმუნოება, ასე რომ IX საუკუნეში აქ იყო 31 სამღვდელ-მთავრო საეღარი ან ეპარხია: მანუერელი (ანუერში); კუმურდოელი (კუმურდოსა ან ჯავახეთისა); იმხნელი (ან სპერსისა); ანხელი (ანჯარისა); მტბევარი (ტბეთისა ან შავშეთისა); წურწუამელი (წურწუმისა); წვაროსთველისა (ფოთოხუღურეთისა); ვალაშვერთელი, ანელი, კარელი (კარსი და ოლთისის); ბანელი (ტაოკარი და ფანასვერტი); დადაშნელი (კოლა და არტაანი); ამათ გარდა ბაიბურთის ახლოს აშენებული იყო ხანულის მონასტერი. ეს იყო სამშობლო ქვეყანა ჩინებულთა სამღვთო მწერალთა, წმინდათა მამათა იოანესი, ევთიმიისა, გიორგი მთაწმინდისა, გიორგი ოლთისელისა და სხვათა მრავალთა, რომელთაც ხელ ახლად გვითარგმენს სამღვთო წერილები. აქ იშვა ერისთავი თორნიკე, აღმაშენებელი დიდის ივერიის მონასტრისა ათონის მთაზედ, აქ გამოხდნენ უწარჩინებულ-ამბავთა მწერალნი და მოძიარენი, ვითარ: მოთა-რუსთველი, სარგის თმოგველი, აბდულ მესსია შავთელი და სხვანი.

მესამე ხალხი იყვნენ ხალიბნი. ქსენოფონტი ორჯელ მოინსენებს ამ ხალხს, ჰირველად, ვითარცა მცხოვრებთა, ტაოელთ შემდგომ, ისპირსედ, და მეორედ შავის ზღვის ჰირსედ მახლობელ კერასენის ქალაქისა. სტრაბონი ჰკონებს რომ ხალიბები ის ხალხნი არიან, რომელთაც უძიროს (1) სახელჰსდებს ჰალიზონად, ან ალაზნელად (2) აქ მოსუსულან ადგილიდამ ზალიბე, სადაც იშოვება ვეცხლის მადანი. ვივიენ სენ-მარტენი გვაუწყებს (3), რომელ ჰალიზონები აწ ალაზნელები იყვნენ აქ მოსულნი და დასახლებულნი თერმადონის მდინარის ჰირსედ, ტროადის ბრძოლის უწინ. უფ. დუბოა (4) დაწმუნებით ამბობს, რომ ხალიბები ან ჰალიზონები, ან ალაზნელები ჰსცხოვრებდნენ წინაჰირველად ალაზნის მდინარის ნაპირზედ კახეთში. ეს აზრი დასაჯერებელია ჰირველად ამიტომ რომ ძველნი მწერალნი, მაგალ. სცილაქს კორიანდელი (5) და ჰლინი (6) ჰსწერენ, რომ ხალიბები მოსახლეობდნენ როგორც აქ ჰონტოს სამეფოში, ისე ქართლში,—და ამითი ჰსჩანს რომ იყვნენ ერთი და იგივე ხალხი. მეორე,—მციორეს აზიაში აწცა იშოვებიან მრავალნი სახელნი მდინარეთა, ქალაქთა, ადგილთა, რომელნიც იხილებიან საქართველოშიაც, მაგალ. ქიხიკი ქალაქი მდებარე კახეთში; ქუთაია ქალაქი, მდებარი ფარსაკის მდინარის სათავეზედ, და ქუთაისი იმერეთისა; მდინარე ენგური რომელსედაცა ჰსდგას ქალაქი ანგორა ან ენგური და მდინარე სამეგრელოსი ენგური; ონის ქალაქი შავის ზღვის ჰირსედ მახლობელ ჰალიზის ან კიხილერმაკის შესართავისა და ონი იმერეთში; ჰალიზი ან ალაზანი და ალაზანი კახეთში და სხვანი მრავალნი.

მეოთხე ხალხი ქსენოფონტისა არიან მაკრონი, სტრაბონი ამბობს რომელ მაკრონები იმის დროს

(1) მოსე ხორენაცი ებინის ნათარგმნი გვერდი 79.
 (2) უფ. ბროსესეტის ქართლის ცხოვრება.
 (3) ეკლესიის არის ეკესიური სცილაქისა, აწ ლახისტანი და არა აქცილინა, როგორც მოუთხრობს უფ. ს. მარტენი.

(1) სტრაბონი წიგნი 12, თავი ორი, § 19 და 21; ილიადანტისი 856, 857.
 (2) ე. ი. მცხოვრებნი ჰალიზის (კიხილერმაკი) ან ალაზნის მდინარის ნაპირზედ. სტრაბ. მუნეჟ.
 (3) მციორე აზიის აღწერა, ტ. 1. გვერ. 250, 251.
 (4) მოგზაურობა ტომ. 4, გვერ. 133, 139.
 (5) დუბუას ძველი ქარტები ატლასში
 (6) წიგნი თავი 6, 10.
 (7) სტრაბ. წიგნი 12, თავი 2, §. 19.
 (8) წიგნი 6, თავი 3.

იწოდებოდნენ სანად (7), რომელთაც ჰლინი (8) სახელ ჰსდებს სანად გენიოსად, არიანე ტანად (1) და ვიზანტის მწერალნი ტცანად (2). ეველამ ვიცით რომ ბერძნებს არა აქვსთ ასოჭ. ამისთვის ჭმაგვირად ზოგს უხმარია „ს“ ზოგს „ტ“. ზოგს „ტც“. სანი ან ტანი ან ტცანი არის ქართველებისა ჭანი (3). ღეროდოტიც მოიხსენებს მაკრონებსა და მოუთხრობს, რომ მათ ჰქონდათ ჩვეულება წინდაცვეთისა, როგორც კოლხიდელებსა (4), სცილაქსი უწოდებს მაკრონებს მაკროცეფალი (5), მაკრონები სახლობდნენ ჭოროხის მდინარის მარცხნივ ნაპირზედ სადაც ესლა ლახები დგანან (6), და მარჯვნივ ნაპირი ეჭირათ ივერიელთა. ქსენოფონტის აღწერა ამას სრულებით ეთანხმება. როდისაც ქსენოფონტი ჰარნასის მდინარეს გავიდა (ისპირის ხეობა), და გადაიარა ნაჭილობევის მთები, რომელნიც აწცა განსაზღვრენ ჭანეთსა სამცხისაგან, მაშინ შევიდა მაკრონების ქვეყანაში, რომელიც ამ სახით მდებარებს მარცხნივ ნაპირსა ჭოროხის მდინარისა. მაკრონებს, ე. ი. ჭანებს, რომელნიც ჰსახლობდნენ მთებში, უწოდებს ხეპტაკომედად (ე. ი. შვიდი კომეი), და დაუმატებს რომ ხეპტაკომეტებსა ძველად ერქვათ მოსინაკები ე. ი. კომეებსედ ან ბურჯებზედ მცხოვრებნი (7); ამისაგან ჰსჩანს რომ მოსინაკები და მაკრონები ერთი და იგივე ხალხია, ჭანად წოდებულნი, ამას ვარდა სტრაბონი ვაუწევებს რომელ სახებმა (ჭანელებმა) მოსრეს სამი გუნდი რომაელთა მხედრობისა, მიდრიდატის დიდის ომის დროს ჰირის ჰირ რომაელთა. იუსტინიანე იმპერატორის დროს შევიდნენ მორჩილებას ქვემე ვიზანტიისა და მიიღეს ქრისტიანობის საწმუშოება.

მეხუთე ხალხი ივენენ ტიბარენნი, სახლობდნენ ვაკე ადგილებზედ, ვარემოს თერმეს მდინარისა, მახლობელ კოტიორა (აწ ორდუ) ქალაქისა, შეიმუშავებდნენ მიწასა და ჰვეანდათ მრავალი საქონელი, წესი და ჩვეულება ჰქონდათ მსგავსად

ივერიელთა (8). ტიბარენნი, ხალიბები სახლობდნენ როგორც აქა, ისე საცხემი და ქართლში (1). სამღვთო წერილში და გეროდოტეს აღწერაში მოხსნი და ტიბარენნი ან თობალი ერთად მოიხსენებიან, ვითარცა ერთადერთი ხალხი (2). ვიზანტის მწერლები არ მოიხსენებენ ამ ხალხსა, რადგანაც მათი სადგომი ადგილები იმ დროს ეჭირათ ჭანელებსა.

დავით ჩუბინოვი.

(შექვეთქება)

ფიცი გვწამს და ბოლო გვაკვირვებს *)

უფ. ნათიევმა გამოილაშქრა „ივერიის მემატიანეზედ“ და მერე რა რიგად გამოილაშქრა!... სწორედ მოგახსენოთ, დიდად ღირს შესანიშნავი კაცი ყოფილა უფ. ნათიევი.

უფ. ნათიევი გვეფიცება, რომ თუმცა ჩემს შაგირდებს კაცია-ადამიანის კითხვით თავს არ უხეათქამო, (რა სხარტული და ფხიანი ოხუნჯობა მოსვლია უფ. ნათიევს!...) მაგრამ „ბუნების კარს კი კარვად ვარკვევით კითხულობენ და არჩევენ ლოგ(ლ)იკურად და გ(ლ)რამმატიკულათაც.“ თუ მართლა თქვენა ხართ იმ ბავშვების ოსტატი,—ევ დაუჭერებელია. თუ თქვენი საწყენი არ იქნება, ჩვენ ამის დასამტკიცებელს საბუთებს მოვიყვანთ თქვენის წერილიდამევე, რომელიც დროების № 59-შია დაბეჭდილი. ჩვენ გაჩვენებთ, რომ თქვენ თვითომ ლოლიკაზედ და ღრამმატიკაზედ მწყურალად ბძანებულხართ. როგორ გგონიათ, ოსტატი რომ ლოლიკასთან და ღრამმატიკასთან უმძრახად ბძანდებოდეს, მას შეუძლიან შაგირდებს ლოლიკურად და ღრამმატიკულად გაარჩევენოს

(1) გეროდ. წიგნი 3. § 94; სცილაქს კორიანდელი, დუბას ძველი კარტები ატლასში.

(2) დაბად. მესაქმეს წიგნი თავი 10 მუხლი 2; ესეკიის წინასწარ-მეტეველებს თავი 27, მუხლი 13—21; კვალად 32—26; 38—2.

*) ერთს კაცს მეორისათვის ერთი მამალი მოეპარა. გამოსდგომოდა მამლის ჰატრონი, ხელი წაეველო ქურდისათვის. ქურდს თურმე იდლიის ქვემ ამოეფარა მამალი, მაგრამ ისე კი რომ მამლის ბოლო ვარედ დარჩენოდა. ქურდმა ფიცი დაიწყო თურმე, რომ შენი მამალი მე არ წამომიყვანიაო. ჰატრონი, ხედავს რა თავისის მამლის ბოლოს იდლიიდან გამოშვერილს, ეუბნება: მამობილო, შენი ფიცი მწამსო, მაგრამ ეს ბოლო კი მაკვირვებსო.

(1) არიენის აღწერა შავის ზღვისა, ვამოც. გუმანისა
 (2) სტრიტერის მატიანე ტ. 4 გვ. 220, 225, 226.
 (3) ჭანი ქართულად ნიშნავს გამხდარსა, ჭნავსა.
 (4) ღეროდ. წიგნი 2, § 104.
 (5) დუბუას ძველი ქარტები ატლასში. მაკროცეფალი, ბერძნ. გრლელ თავიანი.
 (6) სტატისტიკის მატიანე 4 ტ. გვ. 395.
 (7) წიგნი 12, თავი 2, §. 19.
 (8) სტრაბ. ტ. 1 გვერდი 484.

წაკითხული წიგნი?

თქვენა ბძანებთ: „მაგრამ არ არის რა ისეთი შემარცხვენელი კაცისათვის, როდესაც (ვიმ ამ ქართულსა!...არა არის რა ისეთი როდესაც!...) ის სჯის საგანზედ, რომელიც მას არ ეყურება (ოღონდაც!) და მომეტებული უფრო არა არის რა, (რა მოგახსენოს ქართულმა) ისეთი შემადრწუნებელი და საზიზღარი მასმენელისათვის**“ რ ო დ ე ს ა ც კაცი სჯის კაცზედ და მის მოქმედებაზედ, ო დ ე ს ა ც მას არც თვალთ უნახავს ეს კაცი და მისი მოქმედება და არც თვით საკუთარის ყურით გაუგონია მისი სჯა ამ მოქმედებაზედ.“ (აფერუმ ქართულის მასწავლებლო!)

რამდენსამე სტრიქონის ქვემოდ ბძანებს უფ ნათიევი: ფრიად მიკვირს უცერემონიობა მისი („ივერიის მემპტიანისა“) რომელმაც ასე თავგამოდებით და ამაყად გაბედა (ნუ თუ!...) სჯა იმ სასწავლებელზედ, რ ო მ ე ლ ი ც არამც თუ მას, არამედ სხვასაც კი, გარდა თვით სემინარიის მასწავლებლისა, არ უნახამთ ჩ ე მ ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ა“ და სხვ. როგორ მოგწონთ ეს ქართული? როგორ გაბედაო სჯა იმ სასწავლებელზედ, რ ო მ ე ლ ი ც ა რ უ ნ ა ხ ა ვ თ ჩ ე მ ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ო. ამ ლოლიკით და ღრამმატიკით ასწავლით საწყალს ბავშვებსა?...კიდევ აფერუმ!....

თუმცა უფ. ნათიევი ასე ბლაცნის ქართულსა, მაინც გვეფიცება, ჩემმა შეგირდებმა რვა თვე ნახევარში ძალიან კარგად ისწავლესო ჩემგან ქართულიო, ლოლიკურად და ღრამმატიკულად არჩევენო. აბა ერთი „ლოლიკურად და ღრამმატიკულად“ დაკვირდით ამ თქვენგან თქმულსა, თუ მანდ ლოლიკა და ღრამმატიკა იპოვოთ. ბატონო, სხვა არა იყოს რა, თქვენ ისიც არა გცოდნიათ, რომ „როდესაც“ და „ოდესაც“ ერთი და იგივე სიტყვაა და თქვენ უნდა დაგვაჯეროთ რომ თქვენმა შეგირდებმა თქვენგან კარგად ისწავლეს ქართული, ისიც რვა თვე ნახევარში!...სიტყვა „რომელი-ს“ ხმარება არა გცოდნიათ და გვეფიცებით, რომ თქვენი შეგირდები ქართულს ლოლიკურად და ღრამმატიკულად არჩევენ! ან სხვის მოტყუება გსურთ, ან თქვენვე ჰსტყუვდებით, უფ. ნათიევი.

***) ჩვენ კორნეექტორის შეცდომა გგონია აქა. თუ ეს ასე არ არის, უფ. ნათიევი, ამას იქით იცოდეთ, რომ „მასმენელი“ მანუხლანია ქართულად და თქვენ კი ებ სიტყვა „მსმენელად“ გინმარიათ.

მაგრამ თქვენს უცოდინარობას თავი დავანებოთ. ზემო მოყვანილს სიტყვებში ერთი ისეთი რამაც მოიპოვება, რომელიც სრულს საბუთს გვაძლევს საქვეყნოდ აღვიაროთ, რომ თქვენ, უფ. ნათიევი, მართლა ღირს შესანიშნავი კაცი ყოფილხართ. თქვენ მეცხრამეტე საუკუნეში მცხოვრებს კაცს არამც თუ გიკვირთ, არამედ შემადრწუნებელადაც და საზიზღარად მიგაჩნიათ, რომ კაცმა იმისთანა კაცზედ ილაპარაკოს, რომელიც თვალთ არ უნახავს. ამის შემდეგ თქვენ ოსტატობთ კიდევ!.. წიგნსაც ასწავლით, წიგნსა, რომლის მეოხებითაც ადამიანს ეგ ყოვლად მსხნელი ღონისძიება მიეცა მისდა საბედნიეროდ!...მაშ ვისაც თვალთ არ უნახავს ალექსანდრე მაკედონელი და საკუთარის ყურით არ გაუგონია მისი სჯა, მას, თქვენის ლოლიკით, ხმა არ ამოეღება ალექსანდრე მაკედონელზედ და მის მოქმედებაზედ. საიდან მოგიტანიათ ეს ახოვანი უვიცობა? სწორედ ღირს-შესანიშნავი კაცი ბძანებულხართ! ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ! განა თვითონ წიგნის არსებითი ძალა იმაში არ მდგომარეობს, რომ ტფილისელს ამერიკელთან გაალაპარაკებს და ამერიკელს ტფილისელთან, თუმცა ერთმანერთი თავის დღეში თვალთაც არ ენახოთ. თქვენ კი ეს წიგნის ძალა არამც თუ გიწამებიათ, არამედ საზიზღრადაც მიგაჩნიათ,—და ამის შემდეგ მაინც ოსტატობთ!... ამ შემთხვევაში თქვენი უმეცრება კი არ გვაკვირვებს, თქვენი ვაჟკაცობაა საკვირველი.

ნუ თუ ამისთანა მეცნიერებით გაზვიადებული გვეუბნებით ჩვენ: „მერწმუნეთ, უფ ავტორო, რომ იქნება ჩვენ უფრო ვიცოდეთ თუ როგორ სჯობს სწავლა ყმაწვილისათვის.“ ვითომ რა-თაო, უფ. ნათიევი? რა გამოჩენილი კაცი თქვენა ხართ პედაგოგიაში, რომ მაგას ეგრე ლიტონის სიტყვით თხოულობთ. რომელი პე-სტალოცი, ლანკასტერი და დისტერვერგი თქვენა ბძანდებით, რომ ეგრე ამაყად გვიბძანებ, ჩვენ უფრო ვიცითო. იქნება მართლაც იცოდეთ, ღმერთმა მოგახმაროთ, მაგრამ აქაც კი ამტკიცებთ, რომ თქვენ ყველაფერი გცოდნიათ და ქართული კი არა. აბა ერთი გვიბძანეთ რა არის: „იქნება ჩვენ უფრო ვიცოდეთ თუ როგორ სჯობს სწავლა ყმაწვილისათვის.“ ქართველი ასე იტყოდა: „იქნება ჩვენ უფრო ვიცოდეთ ყმაწვილს როგორ უნდა ასწავლონ.“ აბა ეხლა თქვენგან თქმულს დააკვირდით, თუ იქ ან ღრამმატიკა, ან ლოლიკა და ან სიტყვის ცნობიერად ხმარება იპოვოთ. მაინც

კიდევ გვეფიცებით, რომ თქვენგან შევირდებმა კარგათ ისწავლეს ქართული? გვჯერა, გვჯერა უფ. ნათიევო, რომ მუხას ვაშლი ასხიაო.

რა ვქნათ, მკითხველო, თუმცა უფალი ნათიევი ძლიერ პატივ-საცემი კაცი ბძანებულა და ღირს-შესანიშნავიცა, მაგრამ გვაპატივეთ, ჩვენ ვერ დავუჯერებთ, რომ მისმა შევირდებმა ქართული ისე იცოდნენ, როგორც უფ. ნათიევი გვეფიცება. უფ. ნათიევს არამც თუ თვითონ არა ჰსცოდნია ქართულად აზრის გამოთქმა, არამედ სხვისგან თქმულის გაგებაზედაც უკაცრაოდ ბძანებულა. აი ამის საბუთიცა.

უფ. ნათიევი ქართულის ენის მასწავლებელი ბძანებულა გორის პროსემენარიისა. ჩვენ „ივე-რიაში“ ვსთქვით: „იმავე პროსემენარიის პირველს განყოფილებაში, თუმცა ქართულს ასწავლიან თურმე, მაგრამ ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ ბავშვმა ჩათვლით კითხვისა და ქართულის ასოების ბლაჯნის მეტი არა ისწავლოს რა“.

აი უფ. ნათიევს როგორ გაუგია ეს სიტყვები: „იმან (ესე იგი „ივერიის მემატინემ ანუ უკეთ ვსთქვათ, ზემოხსენებულის სიტყვების მთქმელმა) არც კი იცის რომ ჩემმა ყმაწვილებმა იციან წერა-კითხვა და სიმღერაცა (სერინკი კოზლიკ ხომ არა), თუმცა რვა თვე არის მარტო რაც დავაწყებინე სწავლა და სულ ყველანი უცნობნი იყვნენ წერა-კითხვისა. უფ. ავტორი კი წინააღმდეგ ამისა არწმუნებს (!) მკითხველთა (მკითხველო, შეგვიბრალეთ), რომ ქართულს სულ არ ასწავლიანო. მოდი და დაუჯერე (მართლა და მოდი დაგიჯეროთ) გაუჯერასა? მაშ საიღამ იციან-თქო ქართული წერა-კითხვა, თუ სულ არ ასწავლიან?“ მოდით და ამის შემდეგ დაუჯერეთ უფ. ნათიევს, რომ მისი შევირდები „ლოლიკურად და ღრამმატიკულად“ არჩევენ წაკითხულსა.

მერე ვინ მოგახსენათ, რომ სულ არ ასწავლიანო. აგე ზემო მოყვანილი სიტყვები „ივერიის მემატინისა.“ აბა ერთი მიბძანეთ, ვისაც თვითონ არ უვარჯიშნია მასზედ, რომ რასაც კითხულობს ის გარკვევით გაიგოს, განა მას შეუძლიან ყმაწვილებს გააგებინოს წაკითხული? უფ. ნათიევი გვეფიცება, რომ აი მე შემეძლიანო, თუ გინდათ მოდით მნახეთო. ჩვენა ვსთქვით, რომ თუმცა ქართულს ასწავლიანო, მაგრამ ყოველს ღონისძიებას კი ხმარობენო, რომ ბავშვმა ჩათვლით კითხვისა და ქართულის ასოების ბლაჯნის მეტი არა ისწავლოს რაო. ამ უკანასკნელში კი შემეცდარნი ვართ. უფ.

ნათიევის წინაშე ამის გამო ბოდიშს ვიხდით საქვეყნოდ. თურმე ნუ იტყვით, ეგ „ყოველის ღონისძიების ხმარება“ ტყუილია. აქ მარტო ერთი ღონისძიება უხმარიათ და არა ყველა, ესე იგი, იმისთანა ოსტატი მიუჩენიათ, რომლისაგანაც ბავშვნი ჩათვლით კითხვისა და ბლაჯნის წერის მეტს ვერას ისწავლიან, იმიტომ-რომ თვით ოსტატს ამაზედ მეტი ბევრი არა ჰსცოდნია რა, თუმცა გვეუბნება რომ დამერწმუნეთ, ჩვენ უფრო ვიცითო. თუ იცის რამე, იმ დალოცვილს რაღა დღისთვის უნდა, თუ გაჭირების დროს არ გამოიყენებდა.

უფ. ნათიევი ბძანებს: „ახლა ჩემი ანბანი. ჩემს ანბანს შინჯვენ კავკასიის სამასწავლო მაზრის რჩევაში. თუ რჩევა დაინახავს იმ ანბანსა სასარგებლოდ, მაშინ დაიბეჭდება. სინამ ის ანბანი არის დაუბეჭდავი, ვგონებ არავის აქვს ნება ილაპარაკოს. (რაო? მაშ ხელაღებით ყველა უნდა დამუნჯდეს, ვიღრე უფ. ნათიევის ანბანი არ დაიბეჭდება!... შენი მტერი, ჩვენ საქმე მოგვდის!... დმერთო ჩვენო, ეს უფ. ნათიევი რა გამოგჩენია!

*) წიგნი არის საზოგადო კუთვნილება მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი დაიბეჭდება, გამოვა ქვეყანაში. ეხლა კი ფრიად უჯიშობა (ზდილობაც მგონია საზოგადო კუთვნილება უნდა იყოს!... თქვენ ხომ არ ასწავლით თქვენს შევირდებს ზდილობასაცა!... ბევრს კარგს კი ისწავლიან!) მოზღის უფ. ავტორს მასზედ, რომ ლაპარაკობს — თუ როგორ არის შედგენილი, რა მნიშვნელობა აქვს, ვისთვის არის და სხვა? არა განათლებულს ქვეყანაში არ მოხდება ეგრეთი „უჯიშობა“ (ან უფ. ნათიევს არ ესმის სიტყვა „უჯიშობა“ რას ნიშნავს, ან მართლა-და ზდილობის ოსტატიც ყოფილა გორის პროსემენარიაში, რომელშიაც არ ცოდნა არ ცოდვია) როგორც (ვაი თქვენგან პატივცემულს ღრამმატიკას, უფ. ნათიევო! „როგორიც“ უნდა უფ. ნათიევო ჯრაზის მიმოხვრა მაგას მოითხოვს) მოუვიდა უფ. ავტორს“.

ჩვენ თქვენი წიგნი და თხზულება არ გაგვირჩევია, ჩვენ ისა ვსთქვით, რომ თქვენ რაღაც გარმიანულს ანბანს ამოქმედებთ პროსემენარიაში, თქვენგან მოგონილსა და ამით უძნელებთ ბავშვებს სწავლასა. ეს მართალია თუ არა? თქვენ აქაც „ნათიაურად“ გაგიგიათ ქართული, ჩვენ ნუ

***) თუმცა გვესმის რის თქმა უნდა უფ. ნათიევს, მაგრამ ისიც გვესმის, რომ რაც უნდა, იმის თქმა ქართულად ვერ მოუხერხებია.

დაგვემდურებთ. — ეგ თქვენის ოსტატობის ოსტატობაა, რომ რაც წაიკითხეთ, ის არ გაივით, არ ვიცოდით, თორემ თქვენის მოგონილის ანბანით, ესე იგი, რუსულის ასოებით ქართულს სიტყვას დაგიწერდით, რომ „ლოგიკურად“ და „გრამმატიკულად“ წაკითხული გაგერჩიათ. ვსთქვათ რომ თქვენი დაუბეჭდავი თხზულება გავარჩიეთ კიდევ, ვითომ „უჯიშობად“ რად გეჩვენათ? აქ „ჯიში“ რა შუაშია, უფ. ნათიევო? ერთი ეს გვინდა გკითხვით: სად და რომელს განათლებულს ქვეყანაში გაგივიათ, რომ ვიდრე წიგნი არ დაიბეჭდება, მასზედ ხმა არავის ამოელება. არ შეიძლება მაგალითები გვიჩვენოთ? განათლებულ ქვეყნებში ის კი არის, რომ არამც თუ დაუბეჭდავს ნაწერსა, სიტყვით თქმულსაც არჩევენ და ის კი არ არის, რომ უცოდინარი კაცი სასწავლებელში ოსტატობდეს.

თქვენ თუ სიმართლისათვის გული შეგტკივით განათლებულს ქვეყნებში კი არუნდა გადაბძანებულყავით, პასუხი უნდა მოგეცათ ყოველს იმ საგანზედ, რაც „ივერიის მატინეში“ იყო. იქ იყო რომ: 1) გორის სემენარიაში და არა პროსემენარიაში ქართულს არ ასწავლიან. აბა თქვენს წერილში ამის პასუხად ან ერთი სიტყვა გვაჩვენეთ. 2) იმერლებს, გურულებს, ფშავლებს, — ქართველებს ერთსა და იმავე გვარტომად არა ჰსთვლიანო. აბა ამის პასუხად თქვენს წერილში ერთი სიტყვა გვაჩვენეთ. 3) პროსემინარიის მეორე განყოფილებაში ქართულს არ ასწავლიანო. თქვენ ამის პასუხად ბძანებთ, ვითომც ამ განყოფილებაში „არამც თუ ქართველებმა, რუსებმაც დასომხებმაც ისწავლესო.“ მაშასადამე არ ასწავლით რადგანაც სწავლულს სწავლება არ უნდა. ჩვენც მაგას ვამბობთ, რომ ამ განყოფილებაში არ ასწავლიან ქართულსა და იმით თავს ვერ გაიმართლებთ, რომ ისწავლეს კიდევცაო და ამიტომ არ ასწავლიანო. ამას ვერ დაგიჯერებთ. ან იქნება რაკი ჩათვლით კითხვა იციან და ბლაჯნით წერა, — ეგ ცოდნა გგონიათ. თქვენგან არც ეგ არის საკვირველი. 4) „ივერიაში“ იყო, რომ თქვენ ქართულს ანბანს რაღაც თქვენგან მოგონილი ასოები ჩაუმატეთ და იმ ასოებით დაწერილს სიტყვებს აკითხებთ. ეს ტყუილია, თუ მართალი? რატომ ამაზედ ერთი სიტყვა მაინც არ დახარჯეთ? იმის მაგიერად რომ განათლებულს ქვეყნებს გადასწვდით, ამაზედ გეთქვით რამე. თქვენს ბედს მადლობა შესწირეთ რომ ჩვენი ქვეყანა გაუნათლებელია, თორემ

ვისაც „როდესაც“ და „ოდესაც“ სხვა და სხვა სიტყვა ჰგონია, ის ქართულის ენის ოსტატობას თავის დღეში არ ელირსებოდა.

არა, უფ. ნათიევო! თუ მართლა ისეთი ხართ, როგორც თქვენი წერილი გვაუწყებს, ბევრიც რომ გვეფიცოთ, ჩემი შეგირდები ქართულად „კარგათ გარკვევით კითხულობენ და არჩევენ ლოგიკურათაც და გრამმატიკულათაც“, თუნდა გეწყინოთ ვერ დავიჯერებთ. თქვე დალოცვილო, მაგ ახოვანს უვიცობას რომ ილლიის ქვეშ მალავთ, ბოლოსაც მაინც ნულარ გამოაჩენდით. და ამიტომაც თქვენდა ნუგეშად ამას ვიტყვით: „თქვენი ფიცი დიად გვწამს, მაგრამ ის წყეული უვიცობის ბოლო რომ გამოშვერილია, ის კი გვაკვირვებს.

სასაუბრო და საფიქრებელი.

სადაც დიდი მდინარე წეაღია, — იქ იმის შტოები ზატარა წელებიც უნდა იყვნენ; ამ ნაირადვე, საცა რკინის გზის უმთავრესი განზიდულება არის, — იქ იმის შტოებიც უნდა გაჩნდნენ. ეს ასეა ეოველგან, და ჩვენ ფოთი-თბილისის გზასაც ეს ამბავი უნდა მოელოდეს, — ადრე, თუ გვიან შტოები უნდა გამოეხას. ჯერ-ჯერობით ერთი შტო რიონის სადგომიდან ქუთაისამდის შესრულდა და კიდევაც მოქმედებს.

მართალია, ქუთაისის თავის დღეში ვერ დაივიწყებს, თუ რა უსამართლოდ აუარა გვერდით მას ფოთი-თბილისის რკინის გზამ, მაგრამ რა გაეწეობა, რაც იყო, იყო, ამას აღარაფერი ეშველება, — და სულ არააბანთან ქუთაისის შტოც დიდი საქნელია. ერთი სიტყვით როგორცა და რა ნაირადაც იყო, დღეს ქუთაისშიაც გვესმის ორთქლ-მავალის სტვენაკივილი — ეს ძილისა და აზნატიის დამფრთხობი ხმა.

არ ვიცი სხვა რასა ჰგონობს და მე კი რაღაც გამოუთქმელის სიამოვნებით აღტაცებული ვარ ეოველთვის, როცა ეს ხმა მესმის, — ჩვენ მელომანებთან კი დიდს ბოდის ვითხოვ: ჩემი ზოყსიური გონობა ამ შემთხვევაში ისე დახეულია, რომ თვით რიონის ნაპირების ტურფა სანახაობას, მშვენიერებით სავსეს აქაურს მთაბარსა და მიწა-წეალს ჩემს თვალში მხოლოდ მას აქეთ მიეცათ სრული მნოდა ღაზათი, რაც ზედ გაჰკიე-გამოჰკიეის ორთქლ-მავალას ძლიერი ხმა. ეს ხმა აღმრავს ჩემს გულში უმაღლესს გონობას კაცის მხნეობისას, ძლიერებისას და მიღვიძებს რაღაც სანუგეშო იმედებს.... კაცის ბედნიერების

უძლიერესი მტერი იყო და დღესაც ის არის სიშორისა და უგზობის გამო სხვა და სხვა ქვეყნებს შუა მისვლა-მოსვლის სიძნელე, რომლის მიხედვით შეუძლებელი იყო აღებ-მიცემისა და ამასთან განათლების დადგინება საზოგადოებაში. მხოლოდ ცეცხლით მატარებელმა მანქანამა ჰსძლია ამ საშინელ დაბრკოლებასა და მერმე ისეთის ძლიერებითა და თითქო გრძნეულების ძალითა, რომ კაცის გონება ჯერაც ვერ შეხვეულია ამ საკვირველ მოვლინებასა. გული კმაყოფილებით ივსება, როდესაც მიმჭროლე ვაგონიდან თვალს ვადევნებ ჩვენ ჩვეულებრივად ტალახიანს, გაუფლელ გზებსა, მწუნარებისა და განსაცდელიანს ფოტის „სტანციებსა“ და იმათ „სმატრიტებსა“.... მანსკოს ერთხელ ფოთი-თბილისის რკინის გზის განსნის ზირველ წელიწადს რომ რკინის გზით სატარებელი (ПОЅДЬ), რომელშიაც მე ვიჯექ, გრიალით მიჭროდა სურამის ხეობაში. როდესაც ძველს ფოტის სტანციას_მოლითს გაუზირდაპირდა, ვიღაცამ ვაგონიდან თავი გამოჰყო და მალის ხმით შესძახა სტანციის წინ მდგომარეს სმატრიტელს: „Смотрител, а! Что, лошадей нѣту, а? ахъ ты Что. нѣту лошадей, а?... შენი!“ დაუმატა მან ძლიერებისათვის ქართული გინება, რომელიც სხვა შემთხვევაში საზიზღარი გასაგონი იქნებოდა, მაგრამ იმდროს კი უველას სიამოვნების დიმილი მოგვკვარა:— გვეტობოდა,—ჩვენც ვგრძნობდით გულში ნაღველსა, ძველის მგზავრობის წესთა სიძულვილსა, ჩვენს წარსულ გაჭირვებასა და ჭანან-წვეკტასა, რომელსაც ასე ცხადად გვაგონებდენ ძველი მონგრეული ფოტის სტანციები და იმათი სმატრიტები თავიანთის განუშორებელის კაკარდებითა.... ნეტავ არ იქნება, სხვა გაჭირვებასა ასე დარდიმანდულად ჩაურბენდეთ გვერდითა და ერთს ქართულს ღაზათიანს გინებასაც ზედ დავაზედდეთ ოდესმე!

აქ სიტუვას შევსწვევტ და ორიოდ სიტუვას მოგახსენებ მკითხველო ოსმალეთზე.

— ფიქრი ნუ გაქვს, ჩემო მკითხველო, ჩვენი დრო საკვირველი და მოულოდნელი საქმეების დროა.. . . . ოსმალეთი—ეს ერო და ბნელი ქვეყანა, ეს მართებლობის მძლავრობისა და თვით-მნებელობის საბუდარი ფიქრობს კეთილ-დღეობის მოპოვებასა და ფენიქსსავით განახლებასა ევროპის უძაღლესის ცივილთხაცის მიღებითა,

მართლაც რომ ოსმალეთი დღეს ისეთს გასაოცარს მაგალითს წარმოგვიდგენს, რომელსაც შეუძლებელია არ ვათხოვოთ სრული ჩვენი უურადლება.

ამ სამოქალაქო და საზოლიტიკო ცხოვრების დედა-აზრებს, სჯულს და წეობილებას, რომელნიც ევროპიელებმა შეიძინეს მრავალის საუკუნოების ბრძოლითა და ჭირნახულობითა, დღეს ოსმალეები ისე ემატრობებიან, როგორც თავის სამკვიდროსა და ისეთი სითამამით აღიარებენ მათ თავიანთის ცხოვრების წინამძღოლად, თითქო ვერც კი ატეობდენ, თუ რა შეუსაბამო საქმეა ამ ნაირი მათგან მოქმედება.

ოსმალეთის კონსტიტუციასევე იმის დაარსების ზირველ დროს ბევრი სიცილი და მსხნარობა ატედა ეოველის მხრით საზოგადოებაში, ბევრი ხუმრობა და მოსწრებული სიტუვა ითქვა ამ საგანზედ,—ვის ოსმალე და ვინ ზარლამენტი, თვითონ სიტუვები—„ოსმალეთის ზარლამენტი“ ერთმანეთს რომ ვერ ეწეობიან, ცხოვრებაში რაღა ეშმაკი მოაწეობს იმათა? და ამგვარები. მაგრამ ზარლამენტის ზირველსავე კრების შემდეგ უველასათვის ცხადი შეიქნა, რომ ოსმალეები არც ისე უცნონი ეოფილან თურმე საკონსტიტუციო წესებისა, როგორც ჩვენ ვფიქრობდით. ეს გუშინდელი მონები, რომელთაც აქამდის არა მოეკითხებოდათ რა გარდა ხმამოუღებელის მორჩილებისა, ისეთი თავისუფლებით, ზირუთხეულად და ღირსეულად იცუოდნენ მართებლობის მიმართ საზარლამენტობასის დროსა, ისე გულმხურვალედ და მხნედ შეუდგნენ თავიანთ ვალდებულების აღსრულებასა, რომ უველა გააკვირვა მტერიცა და მოევარცა. მე როგორც ქართველი კაცი, ოსმალეების მოევარე არაოდეს არ ეოფილვარ და დღეს ხომ, რასაკვირველია, კიდევ უფრო ნაკლებად ვიქნები,—მაგრამ სიმართლე უნდა ვთქვა,—მე რომ იმათ საზარლამენტო კრების ბასის ამბავს ვკითხულობდი, რომელიც მომხდარიეო წასრულ მაისის 14, ასე მეგონა, თუ დიდის ფრანციულის რევილიუციის კაცების ხმა შესმოდა და არა საბრალე ოსმალეებისა. იმ დღეს დეპუტატების ზალატაში რამდენსამე დეპუტატებს მხურვალე სიტუვებით გამოეჰკარავებიათ მართებლობის აზნატია, თავის-მოევარეობა და ქვეყნისადმი უხურველობა.... „ჩვენ შევვიწირავს ჩვენი უკანასკნელი გროში, ამბობდა ერთი დეპუტატი, ჩვენი შვილები სისხლს ანთხევენ ჩვენ საზღვრებსზედ, თქვენი (უძაღლესი თანამდებობის კაცების) შვილები რაღას აკეთებენ? ჩვენი მაზრები თქვენგან აკლებულნი მიმშლით რომ იტანჯებიან, თქვენ რა შემწეობას ამღვეთ მათ თქვენი სიმდიდრიდან? ჩვენის სამშობლო ქვეყნის მწუნარების უგრძნობელნო, თქვენი საქმე მხოლოდ ის არის რომ ოქროთი მოევითღულ ეკიპაებში ატაროთ თქვენი უვარგისი ცხოვრება და

ჩვენი ქვეყნის დასახსნელად კი არც სისხლსა სწირავთ და არც რანძვს იმეტებთ თქვენის სიმდიდრისაგან: უოველგვარი მძიმე ვალდებულება ჩვენ და უოველგვარი განცხრომა თქვენ განსა!

მეორე დეპუტატმა თავის სიმწარით სავსე სიტყვები ასე დააბოლოოვა: „დეე, ამათ (მინისტრებისკენ ხელი გაიწოდა) კარგად შეინახონ თავიანთი ოქრო და ვერცხლი, ჩვენ კი უველას შევსწიროთ ჩვენს მამულს, რაც კიდევ გადაგვრჩენია, მაგრამ იმ ზირობით, რომ ამათ აღარ გაბედონ ჩვენს შეწირულს ხელი ახლონ; რომ ჩვენი უკანასკნელი გრომები ჩვენ დაუკითხავად აღარ დაინარჯოს.“ ამის შემდეგ დეპუტატების ზალატამ ერთხმად გადასწვიტა მართებლობის გაკიცხვა.

ამ ამბის მომსწრემ როგორ არ გავიკვირო და არ ვიკითხო, თუ სად რა იქნენ ოსმალეთში სხათქრობისადმი მონებრივი მოჩილება და ფეხქვეშ გება? ოსმალეთის საზოგადოებრივი და საპოლიტიკო ცვლილების სწრაფი მსვლელობა იმ გვარია, თითქო მართლაც რკინის გზით მირობდეს, და თვით დეპუტატების ზალატის მიერ მართებლობის გაკიცხვა არ გვაგონებს განა ზასსაჟირისაგან, სმატრიტლის გაღანძვას ზემოდ რომ ვჰსთქვით?

ჩვენთვის აქ უურადღების დირსი ის არის, რომ ჩვენ უველას გვეგონა თუ ეს დიდი რეფორმები, რომელნიც ასე სეტყვასავით მოულოდნელად თავს წააწოდა ოსმალეთსა, ფენის მოსაკიდებელ ნიადავს ვერ იზოვნიდნენ და, მუხუდოს თესლის კედელზე შევრის არ იეოს, უნაეოფოდ და უმნიშვნელოდ ჩაივლიდნენ, მაგრამ ჩვენი შეცთომა ამ შემთხვევაში—უნდა გაეტყდეთ—საეჭვო აღარ არის.

რას უნდა მივანწიროთ ეს მოვლინება ოსმალეთში? რა ნაირად შესაძლებელია, რომ ფადიშაჰურ წესებსედე, ეორანსედე და იმათ შესაფერ ადათებსედე დაფუძნებული საპოლიტიკო და საზოგადოებრიო ცხოვრება დიდის რეკოლუციის დროიდგან მონიჭებულს თვით-მმართველობის წესებს ითვისებდეს? ამ ვარემოების ახსნა შეიძლება მხოლოდ იმით, რომ ჩვენ ვერ

ვატობდით, თორემ ამ რეფორმების მისაღებად ოსმალეთი თურმე მომზადებული ეოფილა, ჩვენი მიუძნდარობა ამ საქმეში ძრიელ შესანდობელია, რადგან ოსმალეთი თავის საწმუძოების და ჩვეულების ძალით ისეთს განსხვავებულ მდგომარეობაში ეოა, რომელიც ევროპის ცივილიზაციისათვის მას თითქმის მიუკარებელად ჰეოფდა

მაგრამ საქმე იმაში მდგომარეობს, რომ დღეს ისეთი დროა, როდესაც ევროპულს ცივილიზაციას ევრაფერი ვედარ გაუმაგრდება; ლამის ჩინეთის დიდი კედელიც ავერ შეარღვიოს, თორემ სხვაგან ძვირია ისითი კუთხე, სადაც იმის სინათლე და ძლიერება არ მუშაობდეს.

ერთს ფრანციულს ჟურნალში ამას წინეთ წარმოთქმული ეოა ის აზრი, რომ მეცნიერებას და ხელოვნებას, ვარდა ევროპა-ამერიკის შუატელეგრაფისა და სუეცის ეელის გაჭრისა, სხვა დიდი საქმე ვითომც ჯერ-ჯერობით არა გაეკეთებინოსთ რა; მაგრამ ეს კი აღარ მიუღია უფ. მეცნიერს მხედველობაში, რომ სხვა უდიდებულებსი საქმე რაღა შეიძლება იმაზედ, რომლის ძალითაც მთელი ქვეანა ასე უერთდება და უკავშირდება ევროპის განათლებასა? მეცნიერება და ხელოვნება არა თუ სუეცის ეელსა, მთელის დედამიწისებდსა ჰსჭრის და უახლოვებს სანატრელ კეთილდღეობას. დღეს, მაღლობა დმერთს, ის დრო დადგა, როდესაც ამისთანა ძველი „ლათაიები“ როგორც მაგალითად, „ჯერ საზოგადოების აზრი უნდა შეიცვალოს და ნიადავი მომზადდეს და მერმე რეფორმა შემოვიდეს.“ ზატვიდებაში მისაღები აღარ უნდა იევენენ მეტადრე საქრისტიანო ქვეენებში, სადაც აზრიც ძრიელ შეცვლილია და ნიადავიც მხდ არის სრულის და მრავალ-გვარის რეფორმების მისაღებად.

პ. ნ.....ძე.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 Юнiя 1877 г. Типографiя Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ „ივერიის“ განმეორებითი გამოცემის პროექტისა და იდვის ავტორი, რედაქტორ-გამომცემელი ნუგზარ ჭიანჭავაძე
სარედაქციო № 0030: ნელი დარბაიძე, ნინო კერატიშვილი, ნინო შავაძე, ნინო გლუნჩაძე, ლალი გოჩიტაშვილი, თამუნა დვალი, მერაბ დვალი, აკაკი იობაშვილი. მხატვარი, ბუბა არაბული, დიზაინერი ლაშა ჩხენკელი
პროექტი: ივანი – ნანსულა ლაზარაძე – მომავლის განსაზღვრა
პროექტის მხარდამჭერი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
გაზეთი „ივერია“ აღდგენილია, – განმეორებითი გამოცემა დაწყებულია 2011 წლის 2 აგვისტოს
მომავალი შს „სამომავლო სახლი ქართული ელიტა“ საიდენტიფიკაციო №404852174
მისამართი: გ. ლეონიძის 11ა; ტელ.: (+995 32) 299 76 53; chiaberashvili@gmail.com